2014 წელი, 23-29 ოქტომბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№31 (665) გამოდის 1998 წლიდან www.axaliganatleba.ge



როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს და ქალს, მინდა გამოვეხმაურო ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს, რომელმაც ბოლო ხანებში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა ჩვენს რეალობაში.

ქალების და გოგონების მიმართ ძალადობა წარმოადგენს მთელი ქვეყნის, მისი ყველა მოქალაქის სატკივარს. ჩვენს დღევანდელ ყოფაში ვხედავთ, რომ ძალადობა მთავრდება ქალებისთვის სიცოცხლის წართმევით, ეს უკვე შემზარავი და აშკარაა. მაგრამ სანამ ასეთ ტრაგიკულ დასასრულამდე მივა, პრობლემა, როგორც წესი, საზოგადოებას შეუმჩნეველი რჩება. ძალადობის შემთხვევები ხშირია – გაეროს მიერ რამდენიმე წლის წინ გავრცელებული მონაცემებით, საქართველოში ყოველი მეთერთმეტე დაქორწინებული ქალი აღიარებს, რომ ქმრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. თუმცა, ამავე დროს, მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტები ოჯახში უნდა დარჩეს და საზოგადოება თუ სახელმწიფო ამაში არ უნდა ჩაერიოს.

ბრძოლა უწინარესად სწორედ ამ გარემოებასთანაა საჭირო. თუკი გვსურს, რომ სოლიდარულ და სამართლიან საზოგადოებად ვიქცეთ, უნდა დავინახოთ, რომ ოჯახური ძალადობის და ჩაგვრის შემთხვევები ყველას გვეხება და ყველა უნდა დავდგეთ მსხვერპლის დასაცავად. ხოლო სახელმწიფომ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს და მტკიცედ და უპირობოდ დაიცვას ქალები მოძალადე პარტნიორებისგან. უფრო ქმედითი და ეფექტიანი უნდა გახდეს პრევენციული ზომების გატარებაც.

ამავე დროს, აუცილებელია ერთად დავფიქრდეთ ქალების და გოგონების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის გამომწვევ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ ფსიქოლოგიურ მიზეზებზე. გავიაზროთ, რა ფაქტორები იწვევს აგრესიის თუ ძალადობის კულტივირებას. არ უნდა მოვერიდოთ არც „ტრადიციულად“ მიჩნეული ნორმების კრიტიკას, თუკი ისინი ქალთა ჩაგვრას და დისკრიმინაციას განაპირობებს. უნდა ვეცადოთ შევცვალოთ ქცევის ის ფორმები, რომლებიც მამაკაცებს და ბიჭებს ძალადობისკენ უბიძგებს. ყველამ უნდა გავიღოთ ძალისხმევა საიმისოდ, რომ სქესებს შორის რეალური თანასწორობა და სამართლიანობა ახალ ნორმად იქცეს.

ჩვენი კულტურა, ტრადიციები და საერთო წარსული ბევრ საპირისპირო მაგალითსაც იცნობს, როდესაც ქალის კაცთან თანასწორობა და აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია მისაღები და მისასალმებელი იყო. და ჩვენ სწორედ ამგვარ მაგალითებს უნდა გავუსვათ ხაზი.

მე მკაფიოდ ვხედავ იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც განათლების სისტემას აქვს ამ კომპლექსური მიზნების მიღწევაში. სამოქალაქო განათლების ფარგლებში, ჩვენს სკოლებში უკვე მიმდინარეობს დისკუსიები ქალთა უფლებებზე, თანასწორობაზე და ოჯახური ძალადობის ფორმებზე – თუმცა ფაქტია, რომ ეს არ არის საკმარისი. ძალადობის წინააღმდეგ საჭიროა მასშტაბური და მიზანმიმართული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ყველა სკოლაში ამოქმედდება და ყველა მოსწავლეს მოიცავს. ამის თაობაზე, ჩემს გუნდთან ერთად, კიდევ უფრო აქტიურად ვიწყებ მუშაობას, რათა დადგინდეს, სწავლების როგორი ფორმა თუ შინაარსი იქნება ყველაზე ეფექტიანი – დამრიგებლის საათი, საგანგებო კურსი თუ სხვა.

ამ ბრძოლაში საქართველო მარტო არ არის. ქალების და გოგონების მიმართ ძალადობა მთელი მსოფლიოს სატკივარს წარმოადგენს – გლობალური მასშტაბით, 15-დან 44 წლამდე ქალებისთვის უჯახური ძალადობა და გაუპატიურება უფრო ხშირ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე კიბო, ავტოკატასტროფა, ომი და მალარიის დაავადება, ერთობლივად. შესაბამისად, დღევანდელ მსოფლიოში პრობლემასთან ბრძოლაც გლობალურ ფორმებს იღებს და ამ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებასაც შევძლებთ.

პრობლემა მწვავეა და კომპლექსური და ჩვენ, როგორც საზოგადოებას და სახელმწიფოს, დიდი სირთულეების დაძლევა მოგვიწევს. მაგრამ ახლა, როცა საქმე ქალთა სიცოცხლეს ეხება, პასიურობა დანაშაულის ტოლფასია. მჯერა, რომ ჩვენ ამ გამოცდას აუცილებლად ჩავაბარებთ.

თამარ სანიკიძე

აუცილებელია იცოდე სად, რატომ და რისთვის მიდიხარ

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია არჩილ ბეგიაშვილი, გრონინგენის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

გვერდი 8-9

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში

გვერდი 4

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

იგეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

გვერდი 6

CMYK

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა წიგნის თვრო

უორდროპები და საქართველო

ყველაზე ქართველი ბრიტანელი – 150

ლალი ჯელაძე

ხელოვნების სასახლეში ოლივერ უორდროპის დაბადებიდან 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, გამოიფინა ბრიტანელი დიპლომატისა და საქართველოში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენლის, სერ ოლივერ უორდროპის უნიკალური და აქამდე უცნობი საარქივო მასალა, რომელიც მუზეუმის ხელმძღვანელობამ ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოიტანა.

ღონისძიებას დაესწრნენ: ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ალექსანდრა ჰოლ ჰოლი**, ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი **ზაზა ფურცელაძე**, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის წევრი **ფრიდონ საყვარელიძე**, ოლივერ უორდროპის სტიპენდიანტი **სტივენ ჯონსი** და სხვა მოწვეული სტუმრები.

* * *

ბრიტანელი დიპლომატის, მწერლის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის, ოლივერისა და მისი დის, მარჯორი უორდროპების სახელი ქართული საზოგადოებისთვის ფართოდაა ცნობილი. მათ დიდი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვით ევროპის ქვეყნებში საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციაში. 1886 წელს, ლონდონში, ოლივერ უორდროპის ავტორობით გამოიცა წიგნი „საქართველოს სამეფო“, 1894 წელს კი გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანი. იმავე წელს დაიბეჭდა მარჯორი უორდროპის „ქართული ხალხური ზღაპრები“. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებულმა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულმა თარგმანმა, რომელიც დის გარდაცვალების შემდეგ, 1912 წელს, გამოაქვეყნა ჯონ ოლივერ უორდროპმა. მანვე ინგლისურად თარგმნა და 1914 წელს გამოაქვეყნა გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდება“, „ვისრამიანი“ და „წმ. იაკობის ცხოვრება“. მუშაობდა ასევე შექსპირის ივანე მაჩაბლისეულ თარგმანზე.

ცნობილი ფაქტია, რომ მარჯორი უორდროპმა ილია ჭავჭავაძეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა მისი „განდეგილის“ ინგლისურად თარგმნის ნებართვას. ეს წერილი ილიამ გამოაქვეყნა „ივერიაში“, როგორც ნიმუში ქართული საუკეთესო პროზაული სტილისა. მარჯორი უორდროპისეული „განდეგილი“ ლონდონში 1895 წელს დაიბეჭდა. მან ასევე თარგმნა აკაკი წერეთლის ლექსები.

უორდროპებმა თავიანთი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას მიუძღვნეს. სწორედ მათი ძალისხმევით შეიქმნა ყველაზე მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ევროპაში. მათვე ეკუთვნით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე პეტიციის შედგენის ინიციირება, რომელიც გაეგზავნა მეფისნაცვალს კავკასიაში. მათივე თაოსნობით, შეიქმნა საპროტესტო კომიტეტი ქართველი გლეხობისა და მშრომელი ხალხის დასაცავად კაზაკთა რეპრესიებისაგან.

* * *

„1864 და 1869 წლებში დაბადებული ოლივერი და მარჯორი გაიზარდნენ ახალი გამოკვლევების ჟინით შეპყრობილ ეპოქაში. ბავშვობაში, რომელიც მათ შოტლანდიასა და სამხრეთ ინგლისში გაატარეს, სულმოუთქმელად კითხულობდნენ მოგზაურთა მოთხრობებს, განსაკუთრებით კავკასიასა და საქართველოს შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიამ მრავალი გამოჩენილი მკვლევარი და მთამსვლელი მიიზიდა. მათ შორის ყველაზე სახელოვანი გახლდათ მთამსვლელი დუგლას ფრეშფილდი, რომელსაც 1902 წლისათვის უკვე დაწერილი ჰქონდა სამი ილუსტრირებული ვრცელი ტომი ამ რეგიონზე. და-ძმის ინტერესი ამ შორეული, მთიანი ქვეყნის მიმართ, რომელიც იასონმა და არგონავტებმა ასე შთამბეჭდავად აღწერეს, თანდათან უფრო და უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა. და-ძმამ საქართველო თავიანთივე ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან საზღვრად დაინახეს, მხარედ, სადაც ეს კულტურა აღმოსავლეთის კულტურებს ჰარმონიულად ერწყმის“ – წერს ჰეტერ ნასმიტი.

ოლივერ უორდროპმა საქართველოში, პირველად, 1887 წელს იმოგზაურა და მალევე დაწერა წიგნი „საქართველოს სამეფო“. *„საქართველოს მთავარი ხიბლი მის ხალხშია* – წერს ოლივერი – *ქართველები არა მარტო შესახედავად არიან მომხიბვლელნი, არამედ ძალიან მოსიყვარულე და თბილი ხალხია. ამ საოცრად მხიარულ, გულღია, ხელგაშლილ, გულწრფელ, გაურყვნელ ხალხს შორის ცხოვრება საუკეთესო წამალია მელანქოლიისაგან და მიზანტროპიისაგან განსაკურნებლად, რაც კარგად მოგეხსენებათ რაც არის“.* ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფოს“ მოწონებით შეხვდა მკითხველი. ერთი ინგლისელი რეცენზენტი, 1889 წლის 23 თებერვალს, წერდა: *„ბატონი უორდროპის ნაშრომი ეკუთვნის თანამედროვე მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გადმომცემ იმ მცირერიცხოვან წიგნთა რიცხვს, რომელნიც ღირსნი არიან თითქმის მხოლოდ ქებისა. ამ წიგნის წაკითხვა უნდა ვურჩიოთ ყველას, ვისაც სურს სანდო პირველწყაროდან შეიძინოს ცოდნა ფრიად საინტერესო და თითქმის უცნობი ქვეყნის შესახებ“.*

ოლივერმა შეისწავლა ქართული ენა და კიდევ რამდენიმე წიგნი მიუძღვნა საქართველოს.1919 წლის ივლისში ოლივერ უორდროპს მთავრობამ ამიერკავკასიაში ბრიტანეთის მთავარი რწმუნებულის თანამდებობა შესთავაზა. აღფრთოვანებული ოლივერი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე საქართველოში სამუშაოდ წარგზავნაზე ოცნებობდა, დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას. იმ მღელვარე წლებში ოლივერმა უდიდესი ენერგია შეალია ახალი საქართველოს დამოუკიდებლობის მშენებლობას.

1919 წლის ივლისში იგი თბილისს ეწვია, როგორც ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი. ოლივერ უორდროპი ევროპაში საქართველოს ყველაზე გავლენიან ქომაგად მიიჩნეოდა. ამას მოწმობს 1918 წლის 18 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, აკაკი ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის იმედოვნებს, რომ ოლივერის ძალისხმევით ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები ახალ, დამოუკიდებელ ქვეყანას მხარს დაუჭერენ. 1920 წლის 12 იანვარს ოლივერ უორდროპი თბილისიდან მეუღლეს სწერს: *„ეს დღე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა. ეს წუთია, დავბრუნდი პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიღებიდან. მე მათ ვამცნე, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები დე ფაქტოდ აღიარეს. ასრულდა ის, რაზეც ოცდაათი წელი ვოცნებობდი. ვუგზავნით ამ მოვლენებთან დაკავშირებული ბანკეტის მოსაწვევებს მთავრობის წევრებსა და მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებს. ბანკეტი გაიმართება 14 იანვარს, წმინდა ნინოს დღეს. ჩვენი დროშა პირველად ფრიალებს აივნიდან. რეკავენ ეკლესიის ზარები, მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ ემზადება“...* საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ოლივერ უორდროპმა, ქართულ ემიგრაციასთან ერთად, დააარსა ქართული კომიტეტი, საქართველოს ისტორიული საზოგადოება, გამოსცემდა ჟურნალს „გეორგიკა“. ის ქართველოლოგიის დამფუძნებლადაა მიჩნეული.

„ყველაზე ქართველი ბრიტანელის“ სახელით ცნობილ ოლივერ უორდროპს10 ოქტომბერს 150 წელი შეუსრულდა.

„ის, რომ დღეს საქართველო თავის საზღვრებში აღიარებულია მსოფლიოს საზოგადოებრიობის მიერ, ის, რომ საქართველომ 1918 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა,

უორდროპები და საქართველო

ის, რომ ქართული კულტურის შესახებ მაშინდელმა და დღევანდელმა მსოფლიომ ბევრი რამ იცის, მეტწილად ოლივერ უორდროპის დამსახურებაა – ამბობს ხელოვნების სასახლის დირექტორი **გიორგი კალანდია**, *– მან ყველაფერი გააკეთა ამისთვის – თავდავიწყებით უყვარდა ქართველი ხალხი. ერთ-ერთ ბრიტანულ წყაროში აღნიშნულია, რომ ვიქტორიანული ეპოქა იყო ახალი ქვეყნების ძიებისა და აღმოჩენების ეპოქა. და-ძმამ – ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა – სწორედ ვიქტორიანულ ეპოქაში შეიტყვეს საქართველოს შესახებ.*

ძალიან ახალგაზრდა ოლივერმა, ჯერ კიდევ ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, იმოგზაურა საქართველოში – 22 წლისამ. გაიცნო ილია ჭავჭავაძე და მისი წვლილი ძალიან დიდია – დაათვალიერებინა საქართველო და ოლივერს თავდავიწყებით შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა. ოლივერის საშუალებით იგებს ამ ქვეყნის შესახებ მარჯორიც და კიდევ უფრო იზრდება მისი ინტერესი. როცა ოლივერი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში დას გაუგზავნა დეპეშა, სადაც წერს, რომ არის ბათუმში. მარჯორი ძმას ასეთი წერილით პასუხობს: „სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვერავისზე და ვერაფერზე ვერ ვფიქრობ, გარდა საქართველოსი“. მან დაწერა წიგნი – „საქართველოს სამეფო“, რომელიც ევროპული საზოგადოებისთვის, შეიძლება ითქვას, იყო პირველი სერიოზული მონოგრაფია საქართველოს შესახებ. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო – ასეთი სახელმწიფო არ არსებობს, არსებობს თბილისის და ქუთაისის გუბერნიები. სწორედ მაშინ წერს უორდროპი წიგნს სახელწოდებით „საქართველოს სამეფო“ – ეს ძალიან სიმბოლურია. აქ მოთხრობილია ქართველი ხალხის თავგადასავალი, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის შესახებ და ა.შ. აღწერილია ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციები, რაც მთავარია, ნაჩვენებია ჩვენი თვითმყოფადი ბუნება. ევროპელი მკითხველისთვის კარგად არის ახსნილი, რომ ქართველები რუსები არ არიან, დამოუკიდებელი თვითმყოფადი ხალხია და მათ თავიანთი კულტურა აქვთ.

რომ არა ოლივერ უორდროპი, მე, როგორც ისტორიკოსს, გამიჭირდება გითხრათ, როგორ წარიმართებოდა საქართველოს ბედი. მინდა, ეს ყველა ქართველმა გაისიგრძეგანოს, იმიტომ რომ ჩვენ ამ ადამიანის მიმართ უნდა გვამოძრავებდეს უდიდესი მადლიერების გრძნობა. 1920 წელს, როცა დე ფაქტოდ აღიარეს ევროპის ქვეყნებმა საქართველოს დამოუკიდებლობა, მან თავის მეუღლეს ასეთი წერილი მისწერა: ახდა ის ოცნება, რომლის შესახებაც 30 წელი ვფიქრობდი და ვდარდობდიო. ოლივერ უორდროპისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა იყო ცხოვრების მიზანი, არსი და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ მიზნისთვის მიეღწია.“

ყველაზე დიდი საცავი – არქივი უორდროპების შესახებ სწორედ ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ამას გიორგი კალანდია იმით ხსნის, რომ „მარჯორი და ოლივერ უორდროპებს მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველ ინტელიგენციასთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ. მოგეხსენებათ, ქართული ინტელიგენცია, ძირითადად, წარმოდგენილი იყო ქართული თეატრითა და სამუსიკო ხელოვნებით. ჩვენ არა მარტო ჩვენს მუზეუმში დაცული ქართული მასალების გამოფენა გვინდოდა, არამედ გვინდოდა გამოგვეფინა ოქსფორდში, ბოდლეანის ბიბლიოთეკაში დაცული საინტერესო მასალებიც. ეს იყო სდასუს და ხელოვნების სახლის ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიცია.

საბედნიეროდ, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ქართველთა კვალის საძიებლად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მომიწია მოგზაურობა. თუმცა არსად ისეთი ემოციები არ გამჩენია, როგორიც ბრიტანეთში, უორდროპების საგვარეულოსთან დაკავშირებული ადგილების – სევენოუქისა და ოქსფორდის ხილვისას დამეუფლა.

ეს იყო ორი ურთიერთსაპირისპირო განცდა: ერთი მხრივ, დიდი ტკივილი, მეორე მხრივ კი – საოცარი ბედნიერება. მახარებდა და-ძმა უორდროპების შრომის ნაყოფი, რასაც კარგად გრძნობ ბოდლეანის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების დანახვისას თუ ოქსფორდის უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობაში სტუმრობისას. მთრგუნავდა ჟამთასვლის დაუნდობლობა, რომელიც მივიწყების სუდარას თითქოს ყველას და ყველაფერს აფარებს. დღეს უორდროპების მშობლიურ სევენოქში თითქმის არავინ იცის „ინგლისის იმ ტურფა ასულის“ შესახებ, რომელმაც მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანი“ გააცნო, ვერც იმ ახალგაზრდა ოლივერს იგონებენ, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოს უდიდესი ამაგი დასდო...“ – ეს ჩანაწერი გიორგი კლანდიას ეკუთვნის, რომელიც მისივე თაოსნობით გამოსულ კატალოგშია შესული – „უორდროპები და საქართველო“. კრებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა და მასში შევიდა ბოდლეანის ბიბლიოთეკიდან სამეცნიერო ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი მასალა. სამეცნიერო ექსპედიცია სდასუ-ს პატრონაჟითა და მხარდაჭერით განხორციელდა. „ძალიან საინტერესო მასალაა. წამოვიღეთ მათი წერილების ფოტოასლები და ფოტომასალა. ერთ-ერთ ფოტოზე კარგად ჩანს მარჯორის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“, ეს მისი ხელნაწერია. როდესაც მცველმა გადაშალა ეს ხელნაწერი, არ დამავიწყდება მისი სიტყვები: ღმერთო, რა ლამაზად ჟღერს ინგლისურად, მარჯორი კი ყოველთვის უკმაყოფილო იყო და ამბობდა, რომ ეს არ არის ზუსტად ისე თარგმნილი, როგორც მე მინდოდაო. წარმოდგენილი მაქვს, ორიგინალში რა ლამაზად იკითხება „ვეფხისტყაოსანიო“. მართლაც ძალიან ბევრი საინტერესო მასალა წამოვიღეთ, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის წერილები ოლივერ უორდროპისადმი, თუ როგორ სთხოვს ბრიტანეთის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერას და ბევრი სხვა.“ – ამბობს გიორგი.

ქართველი ისტორიკოსი **ბექა კობახიძე** *გამორჩეული ენერგიულობით ცდილობს უორდროპებს განსაკუთრებული პოპულარიზება გაუწიოს. საიუბილეო დღეების ფარგლებში, ხელოვნების სასახლეში, მან უორდროპებზე ლექცია წაიკითხა. „ორი სიტყვით მინდა გითხრათ, ვინ იყო ოლივერ უორდროპი პოლიტიკურ დონეზე. ყველამ ვიცოდით იმის შესახებ, რომ ოლივერ უორდროპი სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისარი იყო, მაგრამ ისტორიკოსებმაც კი არ ვიცოდით, თუ რა როლი ითამაშა პოლიტიკურად და დიპლომატიურად იმ პერიოდში. ეს, ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ 70-წლიან საბჭოთა მმართველობას სურდა უორდროპების კულტურულ ჭრილში გადაყვანა და არ სურდა ოლივერ უორდროპის წარმოჩენა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი საერთაშორისო აღიარების თავგამოდებული მომხრე ადამიანისა. ჩემი დისერტაციაზე მუშაობის დროს ვიმყოფებოდი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში და ბოდლეანის ბიბლიოთეკაში, ფურცელი ფურცელს მიჰყვებოდა და ვხედავდი, რა გულმხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას და ინტენსიურად მოითხოვდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, რომ საქართველოს აღიარება მოეხდინათ და დახმარებოდნენ როგორც იარაღით, ისე სურსათით.*

როგორც ისტორიკოსი, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი უცხოელი, რომელსაც ამხელა წვლილი და ღვაწლი ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის წინაშე. გამიჩნდა განცდა, რომ ქართველმა ხალხმა სათანადო მადლიერება უნდა ვუთხრათ მას და ამის საუკეთესო საშუალებაა სწორედ 150 წლის იუბილეს აღნიშვნა. ბატონი ფრიდონ საყვარელიძის მხარდაჭერით, 25 ოქტომბერს, იხსნება ოლივერ უორდროპის სახელობის სკვერი თბილისის პარლამენტის შენობის უკან. ეს ღონისძიება იქნება საუკეთესო გზავნილი ყველა უცხოელი დიპლომატისადმი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ იღწვის.

მისი წყალობით, თბილისსა და ლონდონს შორის პირდაპირი ხაზი გაიბა და თითოეული წუხილი, რომელიც ჰქონდა საქართველოს მთავრობას პირდაპირ, უშუალოდ ეცნობებოდა ხოლმე ლონდონში ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტს. სწორედ ამ მუშაობამ გამოიღო შედეგი და მოიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ოლივერმა, ავადმყოფობის გამო (პნევმონიით დაავადდა) 1920 წლის აპრილში ქვეყანა დატოვა – შესაბამისად, ვეღარ მოახერხა იმ დახმარების გაგრძელება, რასაც ჩვენს ქვეყანას უწევდა.“

უორდროპების საგვარეულო სასაფლაო სევენოუქშია, მისი მიგნება ქართულ დელეგაციას გაუჭირდა. „სევენოუქში სამი დღე ვეძებდით საფლავს, – გვიამბობს გიორგი კალანდია – სასაფლაოზე გვითხრეს, რომ აქაური კლიმატი მალე შლის ქვებს და ალბათ საფლავებიც უკვე განადგურდაო. ბოლოს, ინგლისში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა, მარინე თიგიშვილმა დაგვიხაზა მარშრუტი. ის ადგილი დღეს ნაგავსაყრელივით არის, ძველი, უკვე „ჩავარდნილი“ სასაფლაოს ბოლოში, კუთხეში განისვენებს და-ძმა. ეკალბარდებით დაფარული ქვები გავწმინდეთ, რომ საფლავები გამოგვეჩინა.

ოლივერის ერთადერთი ქალიშვილის ვაჟი ავსტრალიაში ცხოვრობს. მიმაჩნია, რომ თითოეული ქართველი ისეთივე ვალდებულებას უნდა გრძნობდეს მათი ხსოვნის წინაშე, როგორც მემკვიდრეები. სხვაგვარ დამოკიდებულებას არ იმსახურებს ადამიანი, ვინც ქართველთა შესახებ წიგნში – „საქართველოს სამეფო“ – ასე მოუთხრობს მკითხველს: „საქართველოს მთავარი ხიბლი მისი ხალხია.“ ძალიან გვინდა, უორდროპების საგვარეულო ეკლესიაზე გავაკეთოთ ბარელიეფი წარწერით: „მადლიერი ქართველი ხალხის საჩუქარი“ – სანამ არსებობს ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები, მანამ იარსებებს უორდროპების სახელი“.

გამოფენას, სხვა სტუმრებთან ერთად, ოლივერ უორდროპის სტიპენდიანტი **სტივენ ჯონსიც** სტუმრობდა: *„თქვენ წინაშე ორი მიზეზის გამო ვდგავარ და ორივე უორდროპებთანაა დაკავშირებული. მე ვიყავი ოლივერ უორდროპის სტიპენდიანტი ოქსფორდის უნივერსიტეტში, მაგრამ სხვა მიზეზი მაქვს, თუ რატომ ვლაპარაკობ ქართულად. სრულიად შემთხვევით, ერთხელ, ლონდონში, უნივერსიტეტში წავაწყდი მარჯორი უორდროპის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს. სწორედ იქიდან დაიწყო ჩემი ინტერესი საქართველოსადმი. ოლივერი ძალიან დიდი მოღვაწე იყო და დიდი საქმე გააკეთა საქართველოსთვის. მეამაყება, რომ მისი თანამემამულე ვარ. დიდი მადლობა გიორგის, ბექას, ყველას, ვინც ეს გამოფენა მოაწყო“.*

ექსპოზიცია მართლაც კიდევ ერთი დასტური გახდა იმისა, რომ უორდროპების ისტორია არ სრულდება, ამ უსასრულობის საფუძველი კი ბრიტანულ-ქართული ურთიერთობებია. უორდროპების ხსოვნის პატივსაცემად გამოფენის გახსნაზე ანსამბლმა „რუსთავმა“ მრავალჟამიერი შეასრულა, ხოლო გამოფენაზე მისულ სტუმრებს „პეტრიაშვილის მარანი“ სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსხმული წითელი მშრალი ღვინით – „ოლივერი“ – გაუმასპინძლდა.



სევენოუქის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, ამ ეზოში უორდროპების საგვარეულო საფლავია

პედაგოგთა დასახმარებლად

ირაკლი ხვედელიძე

ქართული ენა და ლიტერატურა

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში

წერილი პირველი

შესავალი

„ახალი განათლება“ მკითხველს სთავაზობს სტატიათა ციკლს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში. საამისოდ წინასწარ მოკლედ გაგაცნობთ იმ საკითხებს, რომელთაც მომავალში ვრცლად განვიხილავთ (და გაზეთის მომდევნო ნომრებში თემატურ *სამუშაო ფურცლებსაც* წარმოგიდგენთ). ციკლის ფარგლებში ორი მთავარი მიმართულება გამოიყოფა:

1. სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლების მნიშვნელობა და ამ პროცესის მრავალფეროვნების გააზრება;

2. სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლებისას არსებული პრობლემებისა და გამოწვევების სისტემატიზება და მათ დასაძლევად საჭირო მეთოდური და პრაქტიკული მასალების წარმოდგენა;

3. სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლების მრავალფეროვნებას განაპირობებს 3 ფაქტორი: ა) სხვადასხვა ტიპის ტექსტთა არსებობა, ბ) სწავლების მეთოდთა და სტრატეგიათა სიმრავლე და გ) სასწავლო საგნის მოაზრება ფართო, ინტერმედიალობის, კონტექსტში.

მრავალწახნაგოვანია ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომპეტენციაც, რომლის შეძენა სისტემურ და სისტემატურ მუშაობაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, მის შესახებ როგორც პედაგოგს, ისე მოსწავლეს სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდეს. ჩვენი სასწავლო საგნის ფარგლებში მოსწავლის კითხვის კომპეტენციის მთავარ მახასიათებლებად/ინდიკატორებად გვევლინება შემდეგი:

- გამონაგონის ხარისხისა და ფუნქციის დადგენა (მაგალითად, სატირული ტექსტების ანალიზისას);
- მეტაფორული და სიმბოლური გამონათქვამების დეკოდირება (მაგალითად, თანამედროვე მასმედიის ენაში);
- ჟანრობრივი მახასიათებლების განსაზღვრა (მაგალითად, ნოველის კომპოზიციის შემთხვევაში);
- ავტორის ენის სტილის მახასიათებელთა დადგენა (მაგალითად, პოსტმოდერნისტულ მწერლობაში);
- სიტყვის/ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ველის განსაზღვრა (მაგალითად, ლირიკული ტექსტების ანალიზის ფარგლებში ავტომატური და მხატვრული თარგმანების განხილვით);
- აბზაცების დასათაურება, ტექსტის რეზიუმირება (პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა);
- ტექსტის დაყოფა ეპიზოდებად და მნიშვნელოვანი დეტალების იდენტიფიცირება (სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტის მიხედვით იმის ჩვენება, რომ მხატვრული ნაწარმოები ინფორმაციის ერთიანი ნაკადი არაა);
- მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და მათი ფუნქციების დადგენა;
- ავტორისეული ინტენციის ამოცნობა: (ტექსტის საშუალებით რამეს გვასწავლის, ესთეტიკური შემეცნების ფორმაა თუ მხოლოდ საარაროვნო კითხვებს სვამს);
- ლიტერატურული ტექსტის კონტექსტუალიზება ეპოქის მიხედვით;
- ალტერნატიული წაკითხვის/ვარაუდების დაშვება.[1]

კომპეტენციის ამ ინდიკატორებზე მუშაობა, ბუნებრივია, სხვადასხვა სასწავლო მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენებას გულისხმობს. ამას კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მიზანი, რომელიც შეიძლება იყოს საკუთრივ საგნობრივი (კითხვის შეყვარება), საზოგადოებრივ-სამოქალაქო (ღირებულებათა ფორმირება), შემოქმედებითი უნარის განვითარება-გამოვლენაზე ორიენტირებული და სხვ.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა მიზნით მივმართავთ ტექსტს ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე: ისაა უმთავრესი საგანი (ტექსტი თავისთავადი ღირებულების ფენომენია ჰერმენევტიკისთვის), რომლის შეცნობაც გვსურს თუ არის საშუალება, რომელიც ემსახურება მეტატექსტურ მიზანს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც წესი, მიმართავენ მცირე ზომის ტექსტებს; მაშინ როცა კლასში დიდი ზომის მხატვრული (პოეტური და პროზაული) ტექსტების „შეტანა“ პირდაპირ უკავშირდება არა იმდენად უნარის განვითარებას, რამდენადაც – ნაწარმოების შინაარსისა და იდეური მხარეების გააზრებას და ამ გზით პიროვნული და ეროვნული იდენტობის ფორმირებას.

2.1. რაც შეეხება სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლებისას არსებულ პრობლემებს, მათგან ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად გვევლინება *ლირიკის* სწავლება. მოსწავლეთა უმრავლესობა, პროზაულ ტექსტთა კითხვის გამოცდილების კვალობაზე, ლირიკულ ტექსტებში ეძებს პირდაპირი სახის ინფორმაციას ან სიუჟეტურ ხაზს, სიმბოლურ და გადატანით მნიშვნელობათა გაშიფვრას კი არ ცდილობს (ან ვერ ახერხებს). არადა, ყველა ლირიკულ ტექსტში არის ის საკვანძო ლექსიკური ერთეული, რომლის დეკოდირებაზეცაა დამოკიდებული მთელი ნაწარმოების ახსნა; თავად ლექსი შეიცავს იმ სიგნალებს, რომლებიც ასეთი საკვანძო ლექსიკური ერთეულის არსებობაზე მიგვითითებს. ამგვარ სიგნალებად წარმოგვიდგება, მაგალითად, სათაური, გამეორება, ანტითეზა და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ სიტყვის სიმბოლური მნიშვნელობა არ დაიყვანება ერთ კონკრეტულ სემანტიკაზე, პოეტურ ტექსტში გამოყენებული სიმბოლური სახის ამოსაცნობად საჭიროა დამატებითი ინსტრუმენტის ჩართვა, რომ ინტერპრეტაცია არ იყოს ნებისმიერი და ტექსტისათვის არათავსებადი. პირველ ეტაპზე მოსწავლემ სიმბოლური მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვის გადატანითი მნიშვნელობები უნდა დაუშვას. საამისოდ მას შეუძლია გაიხსენოს და ჩამოწეროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულის ასოციაციები (საკუთარ ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ გამოცდილებებზე დაყრდნობით); მეორე ეტაპზე ეს მნიშვნელობები უნდა დაუკავშიროს თავად ტექსტს – მან უნდა მოახერხოს საკვანძო ლექსიკური ერთეულის კონტექსტუალიზება, რის შედეგადაც ის ამოარჩევს/განსაზღვრავს წარმოდგენილ ასოციაციებში ყველაზე ადეკვატურს.

მოსწავლეები ლირიკული ტექსტის ანალიზისას არცთუ იშვიათად უშვებენ ამგვარ შეცდომას: ისინი ცალკეულ სიტყვას განიხილავენ კონტექსტისგან დამოუკიდებლად და არ ითვალისწინებენ საგნის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას (ისტორიული, ლიტერატურული და სხვ.) კონტექსტის შესახებ; შესაბამისად, ლირიკული ტექსტების მათეული ინტერპრეტაცია ზედაპირულია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ლირიკული ტექსტების ანალიზისას ვხვდებით, არის მტკიცებითი ფორმით სწავლება (ამ შეცდომას უშვებს მასწავლებელი, თუმცა, მისგან არც მოსწავლეა დაზღვეული): მის ფარგლებში მიღებულია, რომ ტექსტს აქვს ერთი, მკაცრად განსაზღვრული, იდეური შინაარსი და არ არსებობს ალტერნატიული წაკითხვის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ლირიკული ტექსტის ანალიზისას, როგორც წესი, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რისი თქმა სურს პოეტს, სხვაგვარად – რას გვასწავლის ნაწარმოები. თუმცა გასათვალისწინებელია (და ეს განსაკუთრებით ეხება თანამედროვე პოეზიას), რომ ლექსის წერა ბევრი პოეტისთვის სამყაროს შემეცნების ფორმაა და არა – ადამიანებთან კომუნიკაციის (და მით უფრო, დიდაქტიკური კომუნიკაციისა). ამგვარი მცდარი პოზიციის გამო, ლირიკის იმანენტური ბუნება, როგორც ნამდვილის აღქმის საშუალება, შეუცნობელი რჩება. ამდენად, სასურველია, მოსწავლეებმა არა მხოლოდ გააანალიზონ ლირიკული ტექსტები, არამედ თავადაც აღმოაჩინონ ეს ჟანრი, როგორც თვითგამოხატვის ფორმა.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც მასწავლებელი ლირიკული ტექსტების სწავლებისას აწყდება, არის მოსწავლეთა უინტერესობა/დემოტივირებულობა. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი სტრატეგიაა ტექსტის გადატანა ინტერმედიალურ კონტექსტში ანუ ჰიპერტექსტების შექმნა (მის შესახებ დეტალურად მოგითხრობთ მომდევნო სტატიებში).

2.2. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ აუცილებლია მოსწავლეთა შორის კითხვის ზოგად უნარებზე ინტენსიურად მუშაობა, ევროპულ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საინფორმაციო ტექსტებს. თანამედროვე მოსწავლეთა ყოველდღიურობა გაჯერებულია საინფორმაციო ტექსტებით. აქედან გამომდინარე ითვლება, რომ ვისაც ამ ტიპის ტექსტების ადეკვატურად აღქმის უნარი აქვს, მას შეუძლია საკუთარი ინტერესი დამოუკიდებლად დაიკმაყოფილოს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართულ სკოლებში ლიტერატურის გაკვეთილის ფარგლებში გათვალისწინებულია ამ ტიპის ტექსტებზე მუშაობა, თუმცა სასკოლო პრაქტიკაში, როგორც წესი, პედაგოგები ამგვარ მიზანს არ ისახავენ.

ერთი წერილი გვსურს სწორედ ამ საკითხს დაეთმოს: დასაზუსტებელია, რა იგულისხმება *საინფორმაციო ტექსტებში* და როგორ უნდა შევარჩიოთ ისინი ენისა და ლიტერატურის გაკვეთილისათვის; შემოგთავაზებთ საანალიზო ორიენტირებს: ამ ტიპის ტექსტებში დასადგენია ცალკეული ელემენტის ფუნქციები, ადრესატი, ენობრივი ხერხები და ა.შ.

2.3. ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ცალკე განხილვის საგანია დიდტანიანი ნაწარმოებების სწავლების კომპლექსური საკითხი. ამ ციკლის ფარგლებში, წარმოგიდგენთ დიდი მოცულობის საპროგრამო ტექსტებზე მუშაობის (წაკითხვისა და გააზრების) სტრატეგიებსა და მეთოდებს, ასევე – კონკრეტულ საგაკვეთილო მოდელებსაც.

2.4. საგანგებო ყურადღება მიექცევა ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ეროვნული სასწავლო გეგმის პრაქტიკულ გამოყენებასა და მოსწავლეთა შეფასების მოდელების გაცნობას, რადგან მოსწავლის მდგომარეობის (განვითარება-ჩამორჩენა-სტაგნაციის ეტაპების) შეფასება ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე არ იზომება ისე, როგორც სხვა საგნების შემთხვევაში. ამავე ფარგლებში, *სამუშაო ფურცლების* თანხლებით, წარმოგიდგენთ უკუკავშირის მეთოდებსა და სპეციალურ დიაგრამებს.

---

1. მოსწავლეებში კითხვის კომპეტენციის გამომუშავებისათვის საჭირო მეთოდებსა და სამუშაო ფურცლებს გაზეთის მკითხველს შემდეგი ნომრებისათვის მივაწვდით.

მეგი
როსტიაშვილი-წიკლაური

რუსული ენა

«ЭФФЕКТИВНЫЙ МЕТОД ОБУЧЕНИЯ РУССКОМУ ЯЗЫКУ КАК ИНОСТРАННОМУ»

Современная общественно-политическая ситуация вызвала модификацию образовательной парадигмы, опирающуюся на новую актуальную модель решения учебных задач и место учащегося в учебном пространстве. Изменение лингво-когнитивного пространства учащихся, их мотиваций, целей, интересов, потребностей в процессе коммуникативно-когнитивной деятельности – всё это относится к тем факторам, которые должны находить отражение в современных учебниках и учебных пособиях, а также в новой системе контроля умений и навыков. Одним из основных требований современной лингводидактики, продиктованными запросами современного прагматико-динамического общества, является умение использовать теоретические знания на практике, то есть необходимости следовать в русле практической направленности с первых шагов обучения. Благодаря этим сместившимся акцентам в учебном процессе учащийся вместе с постижением нового языка и новой языковой картины мира более активно участвует в приобретении и интерпретации новых знаний, в их корректировке, расширении представлений об окружающем мире, углублении личных знаний, самореализации индивидуального потенциала, подготовки к конкретной историко-социальной реальности, в которой он окажется после окончания школы.

Одним из актуальных методов обучения при изучении русского языка как иностранного является использование учебных, документальных или художественных фильмов. Именно благодаря визуальному ряду грамотно подобранного видеоматериала и правильной организации преподавателем русского языка учебного процесса быстро усваивается язык вне языковой среде. Фильмы, соответствующие тому или иному уровню языковой компетенции, дают возможность учащимся погрузиться в мир активной разговорной речи, научиться воспринимать иностранную речь в ее естественном темпоритме и способствуют быстрому развитию их речевых навыков. Учебная работа с фильмами даёт возможность познакомиться с русской культурой, историей, природой и т.д. Работа с фильмами, содержащими активную лексику начального этапа изучения языка, позволяет постепенно перейти к просмотру художественных фильмов на следующем, более продвинутом этапе. Поэтапная реализация образовательных задач, постепенный переход от образовательного учебного фильма к документальному и художественному позволяет реализовывать индивидуальные и групповые возможности учащихся. Фильмы непосредственно должны опираться на возрастные возможности и интересы учащихся. При обучении РКИ видеоматериалы следует использовать согласно следующей условной схеме:

1.Учебные фильмы для начального этапа обучения. В основном фильмы обучающего характера (Тематика обучающих фильмов: фонетические и графические нормы русского языка, грамматический материал, различный лексико-темати-

ческий материал, а также сказки, рассказы, песни и т.д.).

2.Учебные фильмы для базового этапа: мультипликация, научные фильмы, короткометражные и полнометражные художественные фильмы.

В обучающую программу по иностранному языку, использующую демонстрацию фильмов, необходимо включать предтекстовые задания, мини тексты и послетекстовые задания, направленные на проверку понимания, тренировку и закрепление нового материала. Контент уроков может быть основан на страноведении, материалах по истории и культуре разных стран. В методический инструментарий входят задания к упражнениям/текстам, памятки, наводящие вопросы, тесты, ключи, опорные слова и т.п.

Естественная речь становится доступна для понимания благодаря визуальному сюжетному видеоряду. Необходимо прилагать все усилия к тому, чтобы учебный процесс стал максимально привлекательным и интересным. Такая работа будет полезна всем тем, кто преподаёт русский язык или изучает его.

Обучение использованию источников лингвистической информации именно для формирования у учащихся приемов и способов самостоятельной деятельности через методический инструментарий, который включает в себя методику работы с заданиями к упражнениям/текстам, с памятками/алгоритмами, задания с наводящими вопросами, с тестами, с опорными словами, с ключами, обеспечит осознанное владение приёмами учебного труда («учить учиться»), сформирует, как принято говорить сейчас «самометодику» учащихся, которая будет гарантировать навык самостоятельного обучения в дальнейшем. Значительную роль в формировании самостоятельных умений и навыков в изучении иностранного языка должны сыграть новые технические возможности и условия. Использование аудиовизуальных материалов всегда рассматривалось как важная составная часть процесса обучения иностранному языку.

В учебном процессе выделяется несколько групп коммуникативных задач, которые решаются с помощью видеосервиса:

1. Видеотекст создает множество речевых формул для высказывания, соответствующие уровню владения языком – от самого простого высказывания до развернутой оценки и анализа.

2. Аудиовизуальный текст может стать основой для заданий, активизирующих когнитивную, творческую деятельность учащихся.

3. Учащиеся сами могут легко создавать различные видеоролики (даже с помощью мобильных телефонов) и размещать их на определенном сервере. Видеоматериалы могут быть встроены в специальные программы, которые позволяют создавать учебные материалы и размещать их в Интернете, лучше дополнить просмотр видеоматериала заданиями и упражнениями для быстрого усвоения речевых ситуаций.

Формирование коммуникативной языковой компетенции направлено на осуществление межкультурной коммуникации. Управляемое коммуникативное общение преследует определенную цель: способствует развитию личности в диалоге культур. Для данной цели следует организовать на практическом занятии объединение нескольких компонентов, таких как «Аудирование», «Говорение» и «Письмо». В качестве примера можно привести фрагмент практического занятия на основе просмотра документального фильма «Камчатка» из серии «Дикая природа». Просмотр данного фильма позволяет преподавателю определить уровень понимания учащимися основного содержания фильма. Следующий этап предлагает учащимся на основе видеосюжета составить монологическое высказывание с элементами описания, повествования и рассуждения. После разговора по содержанию фильма, учащимся предлагается написать письмо рекомендательного характера с использованием: Я советую/рекомендую тебе/Вам посмотреть о Камчатке… Я мог бы посоветовать/порекомендовать тебе/Вам посмотреть этот фильм о Камчатке… Обрати/те внимание на этот фильм, который знакомит нас с Дальним Востоком…

Подобные занятия нацелены на формирование у учащихся коммуникативной, страноведческой и культуроведческой компетенций. Немаловажное значение имеет аспект межпредметной связи, например связь языковых предметов с естественнонаучными: географией, биологией. На уроках, на которых применяется интегрированный подход, присутствуют учителя биологии и географии, которые совместно с преподавателем иностранного языка участвуют в процессе подготовки и ведения урока. Интегрированные занятия позволяют учащимся глубже понять и изучить избранную для деятельности тему, синтезировать знания, помогают формированию целостного взгляда на мир. Методика интегрированных уроков более всего способствует реализации речевых навыков, так как расширяет сферу интересов и способностей учащихся, в представлениях которых данные уроки являются нестандартными, а, следовательно, поэтому привлекают больше внимания и способствуют самореализации личности.

Методической особенностью интегрированного урока является то, что учебный фильм можно посмотреть и на другом иностранном языке, на английском, что даст учащимся, свободно владеющих английским языком, понять содержание фильма и, наоборот, тем учащимся, у которых высокая компетенция владения русским языком, понять содержание английской версии. Учителя предлагают учащимся выполнять различные задания, помогающие определить степень понимания и усвоения материала, задают вопросы, проводят мини-викторину. Для них на занятиях представлена презентация материала «Добро пожаловать на Камчатку» в модульных слайдах, даются задания исполнительского блока презентации (задания по аудированию, чтению, говорению и письму рекомендательного характера). Желательно запланировать целый цикл уроков, по всем четырём направлениям, чтобы в единой системе был виден результат проделанной работы.

В условиях развития новых технологий обучения, коммуникативная компетенция позволяет осуществлять межкультурное профессиональное общение, предоставлять средства получения необходимой информации, осуществлять коммуникацию для решения ситуационных задач в профессиональной сфере. Одним из эффективных путей формирования коммуникативной компетенции посредством активизации обучения является технология ролевых и деловых игр, позволяющая непосредственно включить элементы, используемые в обучении иностранному языку, в модель будущей трудовой деятельности учащихся.

ОБУЧАЮЩАЯ МОДЕЛЬ (ЦИКЛ МОДЕЛЬНЫХ УРОКОВ)

Тема урока: «Путешествие по Камчатке».

Описание активностей:

Разминка. (15 мин.) *В какой стране вам хотелось бы побывать и почему? В нескольких предложениях расскажите вашему соседу об этом. Представьте вашего соседа аудитории и расскажите, в какой стране ему хотелось бы побывать (работа в парах).*

➢ Эту разминку можно проводить в парах или по кругу. Если времени на работу достаточно, то парное проведение предпочтительнее. Итак, группа делится на пары. В течение 60 секунд «солирует» один участник, потом они меняются ролями. Задача «солиста» – рассказать партнеру о том, где ему хотелось побывать и почему. Главная задача – вызвать у партнёра увлеченность, интерес, активность. Затем партнеры меняются ролями. После того, как пары обменялись информацией, они должны рассказать остальным участникам группы друг о друге. Очевидно, что весь объем информации они воспроизвести не смогут – не позволят механизмы памяти и сжатые временные рамки. Учителю следует оговорить этот момент, подчеркнув, что задача участников – перечислить первые несколько сведений о своем партнере (информацию о стране и о причинах, по которым участник хотел бы там побывать), которые всплывут у них в памяти, не стараясь выбрать из них самые, по их мнению, значимые («Мы не можем судить за самого человека, что для него более значимо, а что не так важно»).

➢ Делим аудиторию на группы (5-6 человек в группе).

➢ Словарная работа. (Соедините слова с их значением; соедините синонимы; найдите антонимы; выберите нужное слово) – (10 мин.) /работа в группах/.

➢ Просмотр документального фильма «Камчатка». (15 мин.)

➢ Ответы на вопросы по содержанию фильма. (10 мин.)

➢ Мини-викторина (по содержанию фильма).

➢ Игра: «Я тебе – ты мне». (Группы задают друг другу от трёх до пяти вопросов по фильму. (10 мин.)

➢ Ролевая игра. Составить полилог на тему: «Я побывал на Камчатке и встретил своих друзей, которые задают мне вопросы». (3-5 вопросов, опираясь на игру: «Я тебе – ты мне»). (10 мин.)

➢ Группы разыгрывают полилоги. (15 мин.)

➢ Следующий этап: учащимся предлагается на основе видеосюжета составить монологическое высказывание с элементами описания, повествования или рассуждения. (Д/З или в классе 10-15 мин.)

➢ Презентация работ. Обсуждение.

➢ Презентация в программе *PowerPoint* по теме «Камчатка».

➢ После разговора по содержанию фильма и презентации, учащимся предлагается написать письмо рекомендательного характера с использованием: Я советую/рекомендую тебе/Вам посмотреть о Камчатке… Я мог бы посоветовать/порекомендовать тебе/Вам посмотреть этот фильм о Камчатке… Обрати/те внимание на этот фильм, который знакомит нас с Дальним Востоком…(Предварительно представляем ученикам готовый вариант письма).

➢ Презентация. Обсуждение. (15 мин.)

➢ Каждая группа называет 10 самых интересных и привлекательных для них стран. Предлагается выбор одной страны.

➢ Каждая группа составляет объявление по модели. Модель объявления представляет учитель. Объявление содержит информацию рекламного характера. Туристическая компания рекламирует страну. Группы работают над рекламным объявлением той страны, которую они выбрали. (10 мин.)

➢ Презентация. Обсуждение. (15 мин.)

➢ Ролевая игра. Каждая группа составляет вопросы к объявлению другой группы. Игра называется «Звонок в компанию». (10 мин.)

➢ Презентация ролевой игры. Представители той группы, к объявлению которой были составлены вопросы, отвечают на них, имитируя телефонный разговор. (15 мин.)

➢ Предлагается учащимся принять участие в новой игре «Конкурс». (30 мин.)

Задание:

Учитель предлагает учащимся создать для туристической компании, которая объявила конкурс на лучшую рекламу, презентацию по теме «Камчатка».

Вы прочитали в газете объявление:

> ***«Туристическая компания «Чайка» приглашает желающих принять участие в конкурсе:***
> ***«Лучшая реклама для желающих посетить Камчатку»***
> ***На конкурсной основе будет выбрана лучшая работа.***
> ***Более подробную информацию Вы можете получить по телефону 2-75-45-56 или отправить свою презентацию на gmail: Chaika@gmail.com***

Учебная задача: позвонить по указанному телефону и расспросить обо всем как можно подробнее, чтобы оценить свои шансы на победу в конкурсе. Вы выступаете инициатором разговора. Учащиеся знакомятся с планом игры:

План ролевой игры:

➢ Приветствие.

➢ Объясните цель Вашего звонка.

➢ Запрос информации (основные вопросы по объявлению).

➢ Запрос разъяснения (дополнительные вопросы).

➢ Выражение признательности. Прощание.

➢ Так же в рамках этой темы можно предложить одной группе выступить в роли туристической компании, которая определит победителя.

➢ Учащиеся вместе проработают критерии оценивания презентации (допустимо на родном языке). (5 мин.)

➢ Другим группам будет предложено работать над презентациями. (20 мин.)

➢ По завершению работы учащиеся проводят презентации, а представители группы туристической компании оценивают конкурсантов (по критериям, которые они сами выработали), выявляют победителей. (20 мин.)

➢ Допустима дискуссия в рамках конкурса. (В случае разногласий, связанных с результатами, следует подача апелляции с требованием пересмотра результата конкурса). (10 мин.)

➢ Предлагается выполнение упражнения типа «Корзина руководителя». Специфика упражнений данного типа: работа с документами, с бланками делового письма. Такой вид работы можно использовать, изучая официально-деловое письмо. Например, в «корзину» кладут варианты некоторых заявлений президенту туристической компании с требованием пересмотра результатов конкурса, заявления методически предполагают ошибки, которые необходимо найти, исправить в соответствии с нормами официально-деловой письменной речи (нормы заранее прорабатываются). Для формирования речевых умений учащихся используются упражнения типа «Корзина руководителя». Учащиеся, работая в группе или индивидуально, должны самостоятельно найти решение коммуникативно-речевого поведения в конкретной ситуации. Для этого они должны ситуацию проанализировать, разобраться в сути проблемы, предложить все возможные решения и выбрать лучшее из них. «Кейсы» базируются на реальном фактическом материале, или же приближены к реальной ситуации.(15 мин.)

➢ Предлагается шаблон заявления. Обсуждение. (10мин.)

➢ Каждая группа составляет свою версию. (15 мин.)

➢ Группы обмениваются заявлениями и исправляют. (10 мин.)

➢ Все варианты помещают в «Корзину руководителя». (1 мин.)

➢ Чтение заявлений (учителем) и обсуждение. (Форум). (15 мин.)

➢ Составление лучшего варианта вместе. (15 мин.)

➢ Всем группам предлагается пересмотреть ещё раз свой вариант и исправить ошибки, опираясь на лучший вариант. (10 мин.)

➢ Готовые варианты читают, обсуждают и помещают в «Корзину руководителя».

დასასრული შემდეგ ნომერში

საატესტატო გამოცდა

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

ქართული ენა და ლიტერატურა

1. რომელი სტილის ნიმუშია მოცემული ტექსტი?
ფუტკრები (Apoidea), მწერების ზეოჯახი სიფრიფანასებრთა რიგისა, შეიცავს რამდენიმე ოჯახს. ფუტკრის სხეულის სიგრძე 1,5 მმ-5 სმ აღწევს. აქვს მლოკავ-მღრღნელი პირის აპარატი; უმრავლესობის ქვედა ყბა და ქვედა ტუჩი წაგრძელებულია ხორთუმად. სხეული მოფენილია ბუსუსებით. მრავალი ფუტკრის უკანა კიდურების წინა ნაწევარი გარდაქმნილია „კალათად“, რომელშიც ფუტკარი გრძელი ბუსუსების მეშვეობით აგროვებს ყვავილის მტვერს. მუცლის ბოლოზე განვითარებულია ნესტარი ანუ საწერტელი.
ა) მხატვრულის. ბ) ოფიციალურ-საქმიანის.
გ) პუბლიცისტურის. დ) სამეცნიეროსი.

2. რომელი არ არის სინონიმები?
ა) ალპინისტი - მთამსვლელი.
ბ) არქიტექტურა - ხუროთმოძღვრება.
გ) ბიბლიოთეკა - წიგნთსაცავი.
დ) კომეტა - თანამგზავრი.

3. რომელ წინადადებაში არ არის სტილისტური ხარვეზი?
ა) ამერიკელმა რეჟისორებმა ამ თემაზე ორი მხატვრული ფილმის გადაღება აწარმოეს.
ბ) არქეოლოგიურ გათხრებს ქართველი და გერმანელი მეცნიერები ერთად აწარმოებენ.
გ) გასულ წელს ახალშექმნილმა კომპანიებმა 10 მილიონი ლარის პროდუქცია აწარმოეს.
დ) ექიმები მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის სამედიცინო შემოწმებას აწარმოებენ.

4. რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა?
ახალგაზრდებმა ამ დავალებას თავი ვერ გაართვეს.
ა) ზმნიზედა. ბ) კავშირი. გ) ნაწილაკი. დ) შორისდებული.

5. რომელია სწორი?
ა) თხუთმეტიათას რვაას ოცდაცხრამეტი.
ბ) თხუთმეტიათას რვაასოცდაცხრამეტი.
გ) თხუთმეტი ათას რვაასოცდაცხრამეტი.
დ) თხუთმეტი ათას რვაას ოცდაცხრამეტი.

6. რომელია არასწორი ფორმა?
ა) ააღორძინებს. ბ) აუღმართავს. გ) აღნიშნავს. დ) აღუზრდის.

7. რომელია არასწორი ფორმა?
ა) გალახავს. ბ) გაფხიკავს. გ) გარეცხავს. დ) გაფანტავს.

8. რა ტიპის არის წინადადება:
კარგად თუ დააკვირდებით, აუცილებლად დაინახავთ ვიწრო ბილიკზე მიმავალ მგზავრს.
ა) მარტივი. ბ) შერწყმული.
გ) რთული თანწყობილი. დ) რთული ქვეწყობილი.

9. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ:
„და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაისა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“.
რას ნიშნავს „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“?
ა) ეშმაკი განეშორა. ბ) ეშმაკი დაიმორჩილა.
გ) ეშმაკი შვებას ჰგვრიდა. დ) ეშმაკი ჰყავდა შეჩენილი.

10. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ მსაჯული აბოს ეკითხება:
„რაი ეგოდენი სიტკბოებაი გაქუს ქრისტეის შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალოს თავი შენი“?
რა უპასუხა აბომ მსაჯულს?
ა) ვერც ერთი მაჰმადიანი ამას ვერ გაიგებსო.
ბ) ირწმუნე ქრისტეს მოძღვრება და თვითონ გაიგებო.
გ) რაკიღა ერთხელ ვაღიარე ქრისტე, რწმენას ვეღარ დავთმობო.
დ) როგორც არ უნდა ეცადო, მაინც ვერ გაიგებო.

11. გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გრიგოლი ეუბნება ეფრემს:
„ეფრემ სანატრელო... უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა. და შენ უწყი, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოსობაი არსენისი“.
რით ასაბუთებს გრიგოლ ხანძთელი არსენის გაკათალიკოსების აუცილებლობას?
ა) ამით არსენის სურვილი დაკმაყოფილდებაო.
ბ) ამით ეკლესიის ღირსება ამაღლდებაო.
გ) ამით ღვთის ნება აღსრულდებაო.
დ) ამით შენ პატივი მოგემატებაო.

12. დატყვევებული ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:
„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე“.
ნესტანის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს სტრიქონში: „ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე“?
ა) იმედიანობა. ბ) სასოწარკვეთილება.
გ) სინანული. დ) შეუპოვრობა.

13. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“. რა არის ის, რასაც ადამიანს ვერავინ წაართმევს?
ა) გვარიშვილობა. ბ) ვაჟკაცობა. გ) სილამაზე. დ) ცოდნა.

14. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსიდან „გოგჩა“:
„მაგრამ რა?! დროსა მსვრელის ცელით, ყოვლთა წარმწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!“
რა მხატვრული საშუალებაა „დროის მსვრელი ცელი“?
ა) ალიტერაცია. ბ) გაპიროვნება.
გ) მეტაფორა. დ) ჰიპერბოლა.

15. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „საღამო გამოსალმებისა“:
„ან მე უგუნურს, რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით!
შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!“
რა არის მოცემული ტექსტის სათქმელი?
ა) ადამიანმა უგუნური გადაწყვეტილებები არ უნდა მიიღოს.
ბ) ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ აუცილებლად მარტო დარჩება.
გ) ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ბედნიერება უსასრულო არაა.
დ) უგუნური ადამიანი მუდამ ბედის წყალობას ელოდება.

16. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „რად ჰყვედრი კაცსა...“:
„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!“
ავტორის აზრით, რა ბადებს ჭეშმარიტ სიყვარულს?
ა) ზეციურ ძალთა ნება. ბ) მშვენიერ სულთა კავშირი.
გ) ურთიერთობა და დრო. დ) შემთხვევითობა და ბედისწერა.

17. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პოემიდან „განდეგილი“:
„განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი“.
რა მიზნით დათმო წუთისოფელი განდეგილმა?
ა) ამქვეყნიური სევდა გადაეყარა გულიდან.
ბ) რათა სულიერი სრულყოფისათვის მიეღწია.
გ) საკუთარი ზრახვები გულში ჩაეკლა.
დ) საკუთარ ფიქრებთან განმარტოება შეძლებოდა.

18. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“. როგორ შეაფასა ბათუმ საფარ-ბეგის გადაწყვეტილება ცხენის მოპარვის შესახებ?
ა) აზრის გამოთქმას მოერიდა.
ბ) მოუწონა ძუძუმტეს განზრახვა.
გ) ტრადიციის დაცვად მიიჩნია.
დ) უღირს საქმედ მიიჩნია.

19. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:
„მართალია, პლატონმა აღუთქვა მომაკვდავს მისი ნების ასრულება, მაგრამ ბეკინა ადვილად ატყობდა, გრძნობდა, რომ გულწრფელად არ ჰპირდებოდა... და ბეკინა არ შემცდარა, რომ ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა“.
ბეკინას რა წინათგრძნობა ახდა მისი სიკვდილის შემდეგ?
ა) პლატონი ძმას საერთოდ არ ნახულობდა.
ბ) პლატონი ძმას სასტიკად ჩაგრავდა.
გ) პლატონი ძმას ყველგან მფარველობდა.
დ) პლატონი ძმის მიმართ გულგრილი იყო.

20. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:
„კარგა ხანს იდგა გალაჯული ჯაყო ტროტუარზე. გზას აღარავის არ აძლევდა, არავის არ ერიდებოდა, კეტის სისქე კომბალს ანჯღრევდა, ხარხარებდა, რახრახებდა და იქადნიდა: – ფეხებზე გკიდია მეთქი ყველანი ჯაყოსა!“
ჯაყოს ხასიათის რა კონკრეტული თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში?
ა) თავხედობა. ბ) ლაჩრობა.
გ) სიხარბე. დ) წინდაუხედაობა.

პასუხები:
1. დ); 2. დ); 3. გ); 4. გ); 5. დ); 6. ბ); 7. ბ); 8. გ); 9. დ); 10. ბ); 11. გ); 12. ბ); 13. დ); 14. გ); 15. გ); 16. ბ); 17. ბ); 18. დ); 19. ბ); 20. ა).

ქართული, როგორც მეორე ენა

1. რომელია ანტონიმური წყვილი?
ა) განიერი – ფართო. ბ) მოხუცი – ბებერი.
გ) მწარე – ტკბილი. დ) სწრაფი – ჩქარი.

2. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?
ცოტა . . . ეს პრობლემა მეგობრების დახმარებით მოვაგვარე.
ა) მონაკვეთში. ბ) პერიოდში. გ) საათში. დ) ხანში.

3. ზრდილობიანი ადამიანი არის:
ა) გულმოდგინე. ბ) თავაზიანი.
გ) მზრუნველი. დ) ყურადღებიანი.

4. რომელ ნაცვალსახელს აღადგენთ მეორე წინადადებაში?
ჩვენს სკოლას უცხოელი ესტუმრა. . . . ისაუბრა თავისი ქვეყნის შესახებ.
ა) ის. ბ) მან. გ) მას. დ) მის.

5. რომელი სიტყვის ფორმაა არასწორი?
ა) ამხანაგის. ბ) მასწავლებლის. გ) მეგობარის. დ) მშობლის.

6. რომელი ზმნაა გამოტოვებული წინადადებაში?
ამ თემაზე ჩვენი კლასი პრეზენტაციას ხვალ . . .
ა) გამართა. ბ) გამართავს. გ) მართავდა. დ) მართავდეს.

7. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) გივი ახალ ბინას ლევანთან ერთად არემონტებს.
ბ) დედა და შვილი დილაობით ბაღში სეირნობს.
გ) მერაბი და მზია საღამოობით კროსვორდს ავსებენ.
დ) მოსწავლეები პრობლემებს ერთად განიხილავენ.

8. რომელი შესიტყვებაა არასწორი?
ა) რთული საკითხი. ბ) რთული საკითხის.
გ) რთულ საკითხით. დ) რთულ საკითხს.

9. დაასრულეთ წინადადება: ჩემი უფროსი ძმა კარგად სწავლობს მათემატიკას, მაგრამ...
ა) ახალი პროგრამის დაძლევა მაინც გაუჭირდა.
ბ) მასწავლებლის ქებას ხშირად იმსახურებს.
გ) მეცხრე კლასის კურსი ადვილად დაძლია.
დ) ყველა მათემატიკურ კონკურსში იმარჯვებს.

10. რომელ წინადადებაშია გადმოცემული მოქმედების მიზეზი?
ა) გიორგიმ თბილად ჩაიცვა, რადგან ძალიან ციოდა.
ბ) თუ ამინდის პროგნოზს დავუჯერებთ, ხვალ გაწვიმდება.
გ) ჩემი ქოლგა წაიღე და ისე წადი, რომ არ დასველდე.
დ) წელს შემოდგომა განსაკუთრებით თბილი იყო.

11. სად მიმდინარეობს საუბარი?
– გამარჯობა, ხომ არ იცით, სად არის საცურაო აუზი?
– როგორ არა. აქედან ერთი გაჩერებაა.
– ქვემოთ უნდა წავიდე?
– დიახ, გაუყევით გზას და 2-3 წუთში იქ იქნებით.
– მეორე მხარეს ხომ არ უნდა გადავიდე?
– არა, ქუჩის ამ მხარეს იარეთ.
ა) ავტობუსში. ბ) მეტროში. გ) სტადიონზე. დ) ქუჩაში.

12. წაიკითხეთ განცხადება.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით სკოლის ქართული ენის წრე აწყობს კონკურსს კალიგრაფიაში. მსურველები უნდა გამოცხადდნენ სკოლის საკონფერენციო დარბაზში 14 აპრილს 3 საათზე.
გამარჯვებული მოსწავლე კალიგრაფიის რესპუბლიკურ ტურში მიიღებს მონაწილეობას.
მე-17 სკოლის დირექცია.

რა მიზნით ტარდება კონკურსი?
ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობის დასადგენად.
ბ) რესპუბლიკურ ტურში მონაწილე კანდიდატთა დასაჯილდოებლად.
გ) სკოლაში ქართული ენის დღის საზეიმოდ აღსანიშნავად.
დ) სკოლაში ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად.

13. რომელი წინადადებაა გამოტოვებული ტექსტში?
ავტომანქანა სწრაფი და კომფორტული ტრანსპორტია. დღეს მისი რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ..... ეს პრობლემა განსაკუთრებით ძველ ქალაქებში იჩენს თავს.
ა) ამის გამო ადამიანებს მოსწონთ მანქანით გადაადგილება.
ბ) ამის გამო დიდ ქალაქებში ქუჩები სულ გადატვირთულია.
გ) თუმცა ბევრი ქარხანა აწარმოებს ახალი მარკის მანქანას.
დ) ქალაქებში ბევრი სატრანსპორტო მაგისტრალია.

14. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს ორი ტექსტი. გაარკვიეთ, რომელი ინფორმაციაა საერთო ორივე ტექსტისათვის.
1. „ეტალონი“ შემეცნებითი გადაცემაა, რომელიც დილის საათებში გადის ეთერში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნის პოპულარიზაციას, გამოავლინოს და წაახალისოს ყველაზე ინტელექტუალური ახალგაზრდები. მასში მონაწილეობენ ქვეყნის ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლეები.
2. ყოველ შაბათს 11-დან 13 სთ-მდე ტელევიზიით გადის ბავშვებისათვის უსაყვარლესი გადაცემა „ასფურცელა“. აქ ზღაპრების კითხვის გარდა ბავშვებს სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს სთავაზობენ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან ერთად ხორციელდება პროექტი – „თეატრალური წრე“, რომლის ფარგლებში საახალწლოდ დაიდგმება „პიტერ პენი“.
ა) ორივე გადაცემა თეატრს ეძღვნება.
ბ) ორივე გადაცემა ლიტერატურას ეძღვნება.
გ) ორივე გადაცემა სამეცნიერო ხასიათისაა.
დ) ორივე გადაცემა შემეცნებითი ხასიათისაა.

15. რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას ეს ტექსტი?
სიტყვა ლილიპუტი ძალიან პატარა ტანის ადამიანს ნიშნავს. ეს სიტყვა თავდაპირველად გამოიყენა ინგლისელმა მწერალმა ჯონათან სვიფტმა თავის რომანში „გულივერის მოგზაურობა“. ასე უწოდა მან ფანტასტიკური ქვეყნის – ლილიპუტიის – ციცქნა მცხოვრებლებს. შემდგომში ეს სახელი გავრცელდა და დამკვიდრდა სხვადასხვა ენაში როგორც ზომით ძალიან პატარა ადამიანის სახელწოდება.
ა) ერთი სიტყვის წარმოშობის შესახებ.
ბ) ინგლისელი მწერლის ბიოგრაფიის შესახებ.
გ) სხვადასხვა ენის ნათესაობის შესახებ.
დ) ჯონათან სვიფტის მოგზაურობის შესახებ.

პასუხები:
1. გ); 2. დ); 3. ბ); 4. ბ); 5. გ); 6. ბ); 7. ბ); 8. გ); 9. ა); 10. ა); 11. დ); 12. გ); 13. ბ); 14. დ); 15. ა).

ინფორმაცია

თამარ სანიკიძე სტუდენტებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის, სტუდენტური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს სტუდენტთა მიერ სტატუსის შეჩერების საკითხთან დაკავშირებით შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო სწორი ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორია ამ ეტაპზე რეალური სურათი, რა გააკეთა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სტუდენტების სწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

მინისტრის განმარტებით, 2013 წლამდე ბაზაში სტუდენტების აღრიცხვიანობის სისტემა იყო მოუგვარებელი. მეორე წელია ბაზაში ყველა ინფორმაცია აისახება, რამაც შესაძლებელი გახადა გაკეთდეს გარკვეული ანალიზი და შეიქმნას არსებული მდგომარეობის რეალური სურათი.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი მრავალია. ფინანსური დავალიანების გამო, დღეის მდგომარეობით, სტატუსი 11 000 სტუდენტს აქვს შეჩერებული. მათ შორის არიან სტუდენტები, რომელთაც 100%-იანი გრანტი აქვთ მოპოვებული და მიზეზად მაინც ფინანსური დავალიანება აქვთ მითითებული, არიან სტუდენტები, რომელთაც 100%-იანი გრანტის ვადა (4 წელი) ამოწურათ, ვერ დააგროვეს სათანადო კრედიტები და დამატებითი სემესტრის აღება უწევთ. ასევე 11 000 სტატუსშეჩერებულ სტუდენტში დიდი წილი გვხვდება 10, 20, 30 და 100 ლარის დავალიანების მქონე სტუდენტები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში შეგნებულად იჩერებენ სტუდენტის სტატუსს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2014-2015 სასწავლო წელს სტატუსი შეიჩერა მხოლოდ 137-მა სტუდენტმა.

სწავლის ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ბოლო ორი წლის განმავლობაში, არაერთი ღონისძება გაატარა, რასაც მოწმობს სტატუსის აღდგენების სტატისტიკა: 2011 წელს სტატუსი აღიდგინა 242-მა სტუდენტმა, 2012-ში – 3543-მა, 2013 წელს – 10 329-ამ და 2014 წელს სტატუსი უკვე აღდგენილი აქვს 10 000-მდე სტუდენტს, მაშინ როცა სასწავლო წელი ახლა დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს სტუდენტების მხრიდან სტატუსის აღდგენის პროცესი.

დღეის მდგომარეობით, სტუდენტების 55% სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. აქედან, სრულ 100%-იან დაფინანსებას 21500-მდე სტუდენტი იღებს. 2012 წელს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა მხოლოდ 11500 სტუდენტს შეადგენდა. რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო სრულად აფინანსებს სტუდენტების თითქმის 2-ჯერ მეტ რაოდენობას.

გათვალისწინებელი იყო სტუდენტების სოციალური მდგომარეობა და 2013 წლიდან გაიზარდა სოციალური პროგრამის ბიუჯეტი და შედეგად ფინანსდება ორჯერ მეტი სტუდენტი. ამასთან, 2013 წლიდან არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე კურსის სოციალურად დაუცველ სტუდენტებსაც ეძლევათ საშუალება, მიიღონ დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში. ასევე, 2013 წლიდან პირველად ამოქმედდა სოციალური პროგრამა მაგისტრანტებისთვის.

2013 წლიდან გაიზარდა სახელმწიფო სტიპენდიების ბიუჯეტი. გაორმაგდა სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა. 2012 წელს სტიპენდიები მიიღო 1230-მა სტუდენტმა, ხოლო 2013 წელს – 2717-მა. 2013-2014 სასწავლო წელს, პირველად, ამოქმედდა პროგრამა დოქტორანტებისთვის. გამოცხადებული საგრანტო კონკურსის საფუძველზე, სასწავლო-კვლევითი გრანტი მოიპოვა 135-მა დოქტორანტმა. 2014-2015 სასწავლო წლისთვის პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებულია 2 100 000 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები იძლევა იმის განცხადების შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გაკეთებული საჯარო კრიტიკული შენიშვნები და განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს და არ ასახავს რეალობას.

სასკოლო აქტივობა

სამეცნიერო პიკნიკი

მარიამ ელოშვილი
ბარეთის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი:

ყველა მასწავლებელმა კარგად ვიცით, რომ რაც უფრო მოტივირებულები არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი. ამიტომ, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებას.

მოტივაციის არარსებობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. დღეს ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და მათემატიკა ნაკლებპოპულარულია, რადგან ბავშვებს უჭირთ ამ საგნების გაგება და გააზრება. საინტერესო კი ბავშვისთვის ის არის, რაც გასაგებია. ამიტომ სწავლის პროცესი, ერთდროულად, სახალისოც უნდა იყოს და სასარგებლოც.

ვაკის პარკში გამართულ სამეცნიერო პიკნიკზე ბავშვების წაყვანა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა – მოტივაციის ამაღლებას.

ბავშვებმა უამრავი სახალისო აქტივობა ნახეს ღონისძიების ორგანიზატორების მიერ დადგმულ სხვადასხვა კარავში, თვითონ მიიღეს აქტიური მონაწილეობა ცდების ჩატარების პროცესში, დაინახეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან და აღმოაჩინეს, რომ მეცნიერება სახალისოც კია.

ვფიქრობ, ამ გასვლითი ღონისძიების შემდეგ ჩვენი სკოლის მოსწავლეების ინტერესი მეცნიერების მიმართ ბევრად ამაღლდა. იმედი მაქვს, ბავშვები მთელი სასწავლო წლის მანძილზე გააცნობიერებენ რა კავშირი არსებობს სამეცნიერო პიკნიკზე ნანახ გასართობ თამაშებსა და სამყაროს შორის და რამდენიმე მათგანი მაინც გამოვა ჩვენი პატარა ქვეყნის დიდი მეცნიერი.

მარინე მუჯრიშვილი
ბარეთის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლება საგანმანათლებლო სისტემაში, ერთი მხრივ, საინტერესოა, მეორე მხრივ – რთული. მზა ფორმულებისა და განმარტებების დამახსოვრება ათვისებას მოითხოვს.

ეროვნული სასწავლო გეგმით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა მე-7 კლასიდან იწყება. 12-15 წლის ასაკი უფრო მეტად ამ სფეროთა ინტერესებისა და გატაცებების ფორმულირების პერიოდია. სწორედ ამ ასაკში იწყებს მოსწავლე სამყაროს შეცნობას და ათვისებული მასალის ყოფა-ცხოვრებასთან ადაპტირებას. თუმცა, ზუსტ მეცნიერებათა მიმართ ინტერესი უნდა გავუღვივოთ მოსწავლეებს. ძალიან ბევრი მოსწავლე სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ რისთვის სჭირდება, თუნდაც, ფიზიკის სწავლა. ამ საგნის სწავლება მხოლოდ ინფორმაციულ დონეზე მოსწავლეებში ნაკლებ ინტერესს იწვევს. მოტივაციის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია ინოვაციური მიდგომები.

ამ მიზნით ვეწვიეთ „ილიაუნის“ მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პიკნიკს. „მეცნიერება ბავშვებს“ – მეცნიერების 60-მდე სხვადასხვა დარგის პავილიონში მოეწყო გამოფენა, ჩატარდა პრეზენტაციები და ექსპერიმენტები, რომლებშიც მოსწავლეებს შეეძლოთ მონაწილეობა.

პიკნიკის მთავარი ამოცანა იყო თანამედროვე მეცნიერების მიღწევების, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, ხალისიანი ფორმით წარმოჩენა.

ღონისძიებაზე მოსულ ყველა მოსწავლეს ძალიან მოსწონდა სახალისო ექსპერიმენტების ჩატარება. განსაკუთრებით ხალისიანი იყო სამეცნიერო აქტივობების ცნობილი ანიმატორების „Dr.molecula“-ს შოუ, რომელიც ეფუძნებოდა ზუსტ სამეცნიერო ფაქტებს. ექსპერიმენტისთვის გამოყენებული იყო ჩვეულებრივი ნივთები, საგნები, რომლებიც ყველას მოგვეპოვება სახლში.

დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით უკან. მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი, შეძლებისდაგვარად, სკოლაში და სახლში განახორციელონ მსგავსი ექსპერიმენტები.

დიდ მადლობას მოვახსენებ სკოლის დირექტორს **ნინო წიფიანს** მხარდაჭერისთვის, ვისი ხელშეწყობითაც მოვახერხეთ პიკნიკზე დასწრება. ვისურვებდი მეტი შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობას მოსწავლეებისთვის.

ნინო წიფიანი
ბარეთის საჯარო სკოლის დირექტორი:

სწავლა რთული და ხანგრძლივი პროცესია და ამ გზაზე სწავლების ესა თუ ის მეთოდი მხოლოდ საშუალებაა ცოდნის აგებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოსწავლისა და მასწავლებლის ძალისხმევა. სწავლების თანამედროვე თეორიების მიხედვით, მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების დანერგვა.

არაჩვეულებრივი წინადადება შემომთავაზეს „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამით მოწვეულმა მასწავლებლებმა: მივიღოთ მონაწილეობა „ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკზე“. სიამოვნებით დავთანხმდი და, შესაძლებლობის ფარგლებში, დავეხმარე. პირადად ვიყავი ჩართული, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად, ღონისძიების ორგანიზებაში.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მოწვეულ მასწავლებლებს: **არსენ ოგანჯანიანს, მარიამ ელოშვილსა** და **მარინე მუჯრიშვილს**.

არსენ ოგანჯანიანი
ბარეთის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი:

2014 წლის 4 ოქტომბერს უკვე მესამედ ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, სახელწოდებით – „სამეცნიერო პიკნიკი“. ღონისძიების მიზანია მოსახლეობის და, პირველ რიგში, ახალგაზრდების დაინტერესება მეცნიერებითა და სხვადასხვა ტექნოლოგიით. „სამეცნიერო პიკნიკს“ წელს უმასპინძლა ვაკის პარკმა, რომელშიც გაიშალა დაახლოებით 60 კარავი, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციებმა (სკოლებმა, უნივერსიტეტებმა, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა და კერძო ორგანიზაციებმა) დაინტერესებულ მოსწავლეებს და სხვა მოქალაქეებს საინტერესო აქტივობები შესთავაზეს: სახალისო ლაბორატორიული ცდები, ბიოლოგიური პრეპარატებისა და ცოცხალი ორგანიზმების დათვალიერება, შემეცნებითი თამაშები, ვიქტორინები, პრეზენტაციები და სხვ. ამასთან ერთად, წარმოდგენილი იყო სასცენო პროგრამაც, რომლის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი იყო რობოტების თამაში.

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგების (მარინე მუჯრიშვილი, მარიამ ელოშვილი, არსენ ოგანჯანიანი) ინიციატივით, „სამეცნიერო პიკნიკს“ ამ სკოლის მოსწავლეებიც (VII-X კლასები) დაესწრნენ. მათი ტრანსპორტირება თბილისში უზრუნველყო სკოლის ადმინისტრაციამ (დირექტორი – ნინო წიფიანი), რომელმაც ზემოხსენებულ მასწავლებლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც.

მოსწავლეები ენთუზიაზმით შეხვდნენ ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობას. „სამეცნიერო პიკნიკზე“ ისინი, დაახლოებით 5 საათის განმავლობაში, ინტერესით მონაწილეობდნენ შემოთავაზებულ აქტივობებში, რის შემდეგაც თავიანთი შთაბეჭდილებები მასწავლებლებსა და მშობლებს გაუზიარეს. დარწმუნებულები ვართ, რომ მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ჩვენი მოსწავლეების სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინით დაინტერესებას და გაზრდის სწავლის მოტივაციას შესაბამის საგნებში.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

აუცილებელია იცოდე სად, რატომ და რისთვის მიდიხარ

რუბრიკის სტუმარია არჩილ ბეგიაშვილი,
გრონინგენის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

– გამარჯობა არჩილ, საუბარი დავიწყოთ მოსწავლეობის პერიოდიდან. როგორ გახსენდება სკოლაში გატარებული წლები, მასწავლებლები... განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– პირველ რიგში, დიდი მადლობა, რომ მომეცით საშუალება ჩემი აზრი გამომეთქვა იმ საკითხებზე, რაზეც ხშირად მიფიქრია, ამიტომ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს სიამოვნებით ვუპასუხებ. გავეცანი გაზეთის წინა ნომრებს და ვთვლი, რომ დიდ საქმეს ემსახურებით. ჩემი პირველი სკოლა გერმანული პროფილის მქონე „ქართული სასწავლებელი“ იყო. ის ასევე ცნობილია, როგორც „ფისოს სკოლა“ და 34-ე საჯარო სკოლა. საშუალო განათლების პირველი რვა წელი ამ დაწესებულებაში გავატარე, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემს პიროვნულ განვითარებაში და თვალსაწიერის გაფართოებაში. ქართული სასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ უმნიშვნელოვანეს და, ამავდროულად, ხშირად უგულებელყოფილ საგნებს, როგორებიც არის: მუსიკა, ასტრონომია, მითოლოგია, ფილოსოფია, მსოფლიო ლიტერატურა და ა.შ. დაწყებით კლასებში ასეთი დისციპლინების შესწავლამ შემიქმნა წარმოდგენა, თუ რამდენად მრავალშრიანი და ყოვლისმომცველია ჩვენი სამყარო.

ჩემი განათლების შემდეგი საფეხური იყო გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში. მეცხრე კლასში ჩავაბარე აკადემიის მისაღები გამოცდები და ჩავირიცხე როგორც 2012 წლის გამოსაშვები კლასის მოსწავლე. ამ მოვლენამ განსაზღვრა ჩემი პიროვნული განვითარების ტრაექტორია. აკადემია არის ყველა იმ სიკეთის ერთობლიობა, რაც უნდა ახასიათებდეს უმაღლეს სკოლას (High School). ეს არის ადგილი, სადაც პროფესიონალი პედაგოგები მოსწავლეებს ასწავლიან ანალიზს და კრიტიკულ აზროვნებას. კითხვები – „რატომ?“ და „როგორ?“ – აკადემიის კედლებში ყველაზე ხშირად ისმის. სკოლა ცნობილია დისციპლინით, რომლის დაცვაც არ ხდება მოსწავლეების ხარჯზე. აქ მოსწავლე უმაღლესი ფასეულობაა.

დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ ლიტერატურას და ისტორიას, რომელიც მსოფლიო განვითარების კონტექსტში განიხილება. სწორედ ასეთმა მიდგომამ შემიქმნა ობიექტური სურათი ქართული კულტურისა და ისტორიის შესახებ, რამაც გააძლიერა ჩემი ქვეყნისადმი პატივისცემა და სიყვარული.

ამერიკულ აკადემიაში შევიძინე ღრმად და პროგრესულად მოაზროვნე მეგობრები. მათთან მჭიდრო კავშირს დღემდე ვინარჩუნებ და ხშირად ვცვლით აზრებს ამა თუ იმ საკითხზე. ასევე სკოლაში გატარებულმა ოთხმა წელმა ჩამომიყალიბა ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ჯერჯერობით არც ერთხელ დავუღალატებივარ.

– არჩილ, დამეთანხმები ალბათ, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს თავის პერსონალურ რეზიუმეში ოქროს ასოებით შეავსოს განათლების გრაფა, არჩევანს უცხოეთზე აკეთებს. მიამბე, რა გზა გაიარე საქართველოდან ნიდერლანდების სამეფომდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი გრონინგენი?

– უმაღლესი განათლების საზღვარგარეთ მიღების სურვილი ადრეული ასაკიდან მქონდა, თუმცა რა განხრით და მსოფლიოს რა ნაწილში, არ ვიცოდი. ერთი წელი საქართველოში დარჩენა გადავწვიტე, რათა კარგად ჩამომეყალიბებინა ჩემი გეგმები.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩავაბარე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოვეწყვე. სამართლის შესწავლამ დამაინტერესა და განათლების გაგრძელებაც ამ განხრით გადავწყვიტე. უნივერსიტეტის ძიებაში უპირატესობას სამართლის პროგრამის რეიტინგს და სიძლიერეს ვანიჭებდი. ამერიკულ აკადემიაში უნივერსიტეტის მრჩეველმა (College Counselor) ნიდერლანდების სამეფო მირჩია, რადგან ჰოლანდიური უნივერსიტეტები მსოფლიოს უნივერსიტეტების რეიტინგებში მოწინავე ადგილებს იკავებენ. ასევე მათ ახასიათებთ საერთაშორისო მიდგომა, რაც ინგლისურ ენოვან საბაკალავრო და მასტერის პროგრამების სიმრავლეში ვლინდება. სკოლამ დამაკავშირა ერთ-ერთ კურსდამთავრებულთან, რომელიც გრონინგენის უნივერსიტეტში სწავლობდა. მან შესანიშნავი რეკომენდაცია გაუწია, როგორც უნივერსიტეტს, ასევე ქალაქს. დამატებითი ინფორმაციის მოძიების შემდეგ, არჩევანი გრონინგენის უნივერსიტეტზე შევაჩერე.

– მიამბე გრონინგენის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?

– გრონინგენის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გასულ წელს, დაარსებიდან 400 წელი შეუსრულდა. ის ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია. საინტერესოა სასწავლებლის დაარსების ისტორია. იმ დროს, სულ რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობდა, რომელთა დიდი ნაწილი ეკლესიას ან სამეფოს ეკუთვნოდა. გრონინგენის უნივერსიტეტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხალხის სურვილით შეიქმნა. მოსახლეობამ, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, საკუთარი ძალისხმევით და სახსრებით დააარსა სასწავლებელი, რათა მიეღოთ განათლება და კონკურენცია გაეწიათ სხვა სამთავროებისთვის.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო გადასახადი არაევროკავშირის მოქალაქეებისთვის 7700 ევროს შეადგენს, ევროკავშირის მოქალაქეებისთვის – 1900 ევროს, ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქეებისთვის კი უფასოა.

სამწუხაროდ, საბაკალავრო სტიპენდიები არაევროკავშირის მოქალაქეებზე არ ვრცელდება. მაგისტრატურის პროგრამებზე არის რამდენიმე ტიპის სტიპენდია და ფინანსური დახმარება. ქართველი სტუდენტები ხშირად მოდიან ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამაზე. ასევე ქართველ მაგისტრებს, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო (პრეზიდენტის სტიპენდია) აფინანსებს.

– რა პროფესიას ეუფლები? რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– ვსწავლობ საერთაშორისო და ევროპული სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე. ჩემი პროფესიული არჩევანი განაპირობა მამამ, რომელიც ასევე იურისტია განათლებით. საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ, ჩემი ინტერესი ამ სფეროში გაორმაგდა. ხშირად სამართალი სტერეოტიპულად კანონების გაზუთხვასთან და ბიუროკრატიასთან ასოცირდება. მესამე წელია ამ დარგს ვეუფლები და დღითი დღე ვრწმუნდები, რომ იურისპრუდენცია მუდმივი ანალიზის და აზროვნების პროცესია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალი არა განყენებული დარგი, არამედ მრავალი სხვადასხვა დისციპლინის გამაერთიანებელია.

– არჩილ, რა როლი უჭირავს ნიდერლანდების სამეფოში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის პრესტიჟის საკითხია. ხშირად, უნივერსიტეტზე უფრო ცნობილი მათი ბიბლიოთეკებია. ნიდერლანდების სამეფოში ამის კულტურა განსაკუთრებით დიდია. გრონინგენის, ლეიდენის, როტერდამის და მაასტრიხტის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები საერთაშორისო დონეზეა ცნობილი. უკეთესი იქნება ბიბლიოთეკის კომპონენტები ჩამოვთვალო, რათა ნათელი წარმოდგენა შეექმნას მკითხველს. უნივერსიტეტს აქვს ერთი ცენტრალური და მრავალი დარგობრივი ბიბლიოთეკა. თითოეული მათგანი აღჭურვილია ციფრული ტექნიკით. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი სტუდენტი სწავლობს, რომლებსაც ყოველთვის შეუძლიათ იპოვონ თავისუფალი ადგილი კომპიუტერთან ან, უბრალოდ, მერხთან. სამეცადინო ოთახები (Study rooms) ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის. ეს ოთახები აღჭურვილია პროექტორითა და სხვა მრავალი საშუალებით, გამოიყენება ჯგუფური დავალებების ან პრეზენტაციების მოსამზადებლად. კაფეტერიას ბიბლიოთეკის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ სტუდენტები ერთმანეთს ხვდებიან დასვენების დროს, მიირთმევენ ყავას და წუწუნებენ დავალებებზე. უნივერსიტეტი არ იშურებს ფინანსებს უახლესი წიგნებისა და სახელმძღვანელოების შესაძენად. ბიბლიოთეკის თაროები სავსეა პრესტიჟული გამომცემლობებისა და ავტორების წიგნებით. დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე სახელმძღვანელოებს. ყოველ წელს უახლესი გამოცემებით ივსება უნივერსიტეტი.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტ ბიბლიოთეკას. სტუდენტებს სახლიდან გაუსვლელად აქვთ წვდომა უზარმაზარ აკადემიურ მასალაზე. ეს ქმნის დიდ კომფორტს თემის წერის ან კვლევის დროს, რადგან ინფორმაციის მოძიება სწრაფად და ეფექტურადაა შესაძლებელი.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით. რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

– ერთი წელი ვისწავლე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამიტომ მიმაჩნია, რომ ქართულ და ევროპულ სასწავლებლებს შორის გარკვეული პარალელების გავლება შემიძლია. განსხვავება მრავალგვარია, თუმცა სამ ძირითადს გამოვყოფდი: ინფრასტრუქტურა, სწავლის მეთოდი, პროფესორები. ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, პარალელების გავლებაც კი რთულია. მაგალითად, გრონინგენის უნივერსიტეტში თითოეული საკლასო ოთახი (აღარ ვლაპარაკობ ლექციის დარბაზებზე) აღჭურვილია პროექტორით ან სმარტბორდით, აუდიოსისტემით, კომპიუტერით და ა.შ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ერთი პროექტორი და ერთი გაძვალტყავებული მიკროფონი იყო ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, რომელიც ხან მუშაობდა, ხან არა. ასევე თვალსაჩინო მაგალითია გრონინგენის უნივერსიტეტის ონლაინსივრცე, სადაც იტვირთება დავალებები, საკითხავი, განცხადებები და ა.შ. სტუდენტს საშუალება აქვს, სახლიდან გაუსვლელად, წაიკითხოს დამატებითი საკითხავი ან გაეცნოს დავალების შეკითხვებს. თსუ-ში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ლექტორს პირველ რიგში მჯდომი სტუდენტისთვის ფურცლები გადაუწოდებია და უთხოვია – გადააქსეროქსე და დანარჩენებს დაურიგეო. ქართულ უნივერსიტეტებში სწავლის მეთოდი სერიოზული პრობლემაა. აქცენტი ძირითადად კეთდება არა სტუდენტის ანალიტიკურ შესაძლებლობებზე, არამედ ზუთხვის და დაზეპირების უნარებზე. კლასიკური თსუ-ს სემინარი მოიცავდა მოსწავლის დაფასთან გაძახებას (ჯერ კიდევ სკოლის დამამთავრებელ კლასებში დაფასთან გაძახების ფენომენი შეურაცხმყოფელ ჟესტად აღიქმებოდა) და მის მიერ სახელმძღვანელოს ტექსტის ზეპირ თხრობას. წერითი დავალება ჯავახიშვილის უნივერსიტეტში პირველი კურსის განმავლობაში, არ მქონია. ევროპულ უნივერსიტეტებში აქცენტი კეთდება ანალიზის უნარზე, ანუ იმაზე თუ რამდენად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის სიღრმისეული და მრავალმხრივი გამოყენება. ამის საუკეთესო გამოვლინებაა აკადემიური თემა. გრონინგენის უნივერსიტეტში თითქმის ყოველდღიურად მიწევს, მინიმუმ, 500-სიტყვიანი თემის წერა.

თვალსაჩინო განსხვავებაა ევროპელ და ქართველ პროფესორებს შორის. პირველ რიგში, ეს სტუდენტებთან დამოკიდებულებაში ვლინდება. გრონინგენის უნივერსიტეტში ასწავლიან მსოფლიოში წამყვანი სპეციალისტები. მათი სტატიები იბეჭდება ძალიან პრესტიჟულ სამართლის ჟურნალებში და, ასე ვთქვათ, ისინი ქმნიან ამინდს თავიანთ დარგებში. პარადოქსულია, რომ ზუსტად ეს ევროპელი პროფესორები მუდამ მზად არიან დისკუსიისთვის. ისინი სტუდენტებს იწვევენ პოლემიკაში და მოუთმენლად ელიან განსხვავებულ აზრს. ლექციასა თუ სემინარზე პროფესორსა და სტუდენტს შორის უშუალო, პირდაპირი და თანასწორი ურთიერთობაა. საქართველოში ხშირად სრულიად საპირისპირო სურათი იხატებოდა. შემოდიოდა ლექტორი, რომლის თითოეულ მოძრაობაში ჩანდა პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა. ლექციის დიდი ნაწილი ეთმობოდა საკუთარი თავის ქება-დიდებას. სტუდენტების მხრიდან წამოსულ კითხვას ხშირად მოჩვენებითი ენთუზიაზმით მოისმენდნენ და საბოლოოდ – უპასუხოდ ტოვებდნენ. საქართველოში ასევე არ არსებობს სლაიდების და პრეზენტაციების კულტურა. გრონინგენის უნივერსიტეტში ლექციის ჩატარება Powerpoint-ში გაკეთებული პრეზენტაციის გარეშე დიდი იშვიათობაა.

– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა?

– ევროკავშირის მოქალაქეებისთვის მუშაობის დაწყება უფრო იოლია, ვიდრე არაევროკავშირის მოქალაქეებისთვის, რადგან არსებობს სამუშაოს საათობრივი შეზღუდვა. ნიდერლანდების სამეფოში მუშაობის დასაწყებად ასევე სასურველია ჰოლანდიური ენის ცოდნა. სამწუხაროდ, ჩემი ჰოლანდიურის დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. დროის თვალსაზრისით, ძალიან გამიჭირდებოდა მუშაობა.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ ცხოვრობენ ნიდერლანდელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?

– ქალაქ გრონინგენში მდებარეობს სამი უნივერსიტეტი, შესაბამისად სტუდენტები შეადგენენ ძირითად მოსახლეობას. თითოეულ ფაკულტეტს რამდენიმე სტუდენტური ოგრანიზაცია აქვს, რომლებიც ხშირად აწყობენ ლექციებს, კინოჩვენებებს, საქველმოქმედო კონცერტებს ან უბრალოდ წვეულებებს. ქალაქში ასევე მდებარეობს სამხატვრო აკადემია, რომელიც აწყობს გამოფენებს და ფოტოჩვენებებს. გრონინგენი ცნობილია ფაბებით და კლუბებით. თითოეული მათგანი „ბოლო კლიენტამდე“ მუშაობს. ქალაქში გასართობი საშუალებების დიდი არჩევანია და საკმაოდ რთულია აქ მოწყენა.

სპორტი ძალიან წახალისებულია. სპორტულ ცენტრში წლიური აბონემენტი სტუდენტებისთვის თითქმის უფასოა და სპორტის 120

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სახეობას მოიცავს. თითქმის ყველა სტუდენტის ცხოვრებაში (განსაკუთრებით ჰოლანდიელი სტუდენტების) სპორტს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ნიჩბოსნობა მაღალ დონეზეა განვითარებული. წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო შეჯიბრი ნიჩბოსნობაში, რომელშიც მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტები იღებ მონაწილეობენ.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

– მომავალი მესახება საქართველოში და ამას საკმაოდ პრაგმატული მიზეზები აქვს. განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა არ არის. დამქირავებელს ურჩევნია საკუთარი ქვეყნის მოქალაქე აიყვანოს სამსახურში, ვიდრე ემიგრანტი. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ენის ცოდნას. ევროპაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია სამსახურის დაწყება თუ პიროვნება მასპინძელი ქვეყნის ენას საშუალოზე კარგად არ ფლობს. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი საზოგადოებაა. ხშირად მიგრძვნია ჰოლანდიელების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება ემიგრანტების მიმართ, მიუხედავად მათი თანამდებობისა და სოციალური სტატუსისა. ჩემი აზრით, ევროპული საზოგადოება სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ადამიანებს უცხო სხეულებად აღიქვამს. ასევე მიმაჩნია, რომ საქართველოში ბევრად უფრო მეტი საშუალება მექნება პროფესიული განვითარებისთვის და ჩემ მიერ გაკეთებული საქმეც უფრო დაფასდება.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– დარწმუნებული ვარ საზღვარგარეთ მიღებული განათლება გარკვეულ როლს ითამაშებს დასაქმებაში, თუმცა საზღვარგარეთ ნასწავლი სტუდენტებისთვის ავტომატურად პრივილეგიის მინიჭება ძალიან არასწორ დამოკიდებულებად მეჩვენება. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი ერთი წელი. იქ გავიცანი სტუდენტები, რომლებიც ინტელექტუალურად ძალიან ძლიერები იყვნენ. მათ ჰქონდათ ძლიერი ნებისყოფა და არნახული შრომის უნარი. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი სტუდენტები, საქართველოს პირობებშიც კი ძალიან სერიოზული განათლების მიღებას მოახერხებენ. საზღვარგარეთ სწავლა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ფინანსურ შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ინტელექტთან. ზოგჯერ მშობლების მიერ დაფინანსებული ახალგაზრდები სწავლას დიდ ყურადღებას არ უთმობენ და ძირითადად, გართობით არიან დაკავებულნი. ასეთი სტუდენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების დონე გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე საქართველოში მშრომელი და მოტივირებული მოსწავლის მიერ დაგროვილი ცოდნა. აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვარგარეთ არსებული ყველა უნივერსიტეტი არ არის ერთი დონის. ზოგიერთი მათგანი, რეიტინგში, ქართულ უნივერსიტეტებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– არ ვიცი, რამდენად მაქვს რჩევის მიცემის უფლება, მაგრამ ერთ საკითხს მაინც მინდა შევეხო. ხშირად ვხვდები ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოს დატოვებაზე არიან ორიენტირებულნი. მესმის ტექსტები: „აღარ შემიძლია“, „ოღონდ აქედან წავიდე“ და ა.შ. ჩემი აზრით, ასეთი განწყობით ქვეყნის დატოვება დადებითს არაფერს მოიტანს. აუცილებელია იცოდე სად, რატომ და რისთვის მიდიხარ. ასევე სტუდენტს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მოლოდინები, თუ რას მიიღებს საზღვარგარეთ გატარებული რამდენიმე წლიდან. მკაცრი და დეტალური გეგმის გარეშე ძალიან დიდია რისკი, რომ ევროპული ვოიაჟი ფიასკოთი დასრულდება. ეს შეიძლება გამოიხატოს გამოცდების ვერ ჩაბარებაში, დეპრესიაში ან სხვა უფრო სერიოზულ პრობლემებში.

– როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– ყველაზე ძალიან მენატრება ცხოვრების ის ტემპი და სიმარტივე, რაც ქართულ ყოფას ახასიათებს. ძალიან მენატრება გუდაური და საერთოდ მთები, რადგან ნიდერლანდების სამეფო ძალიან „ბრტყელია“.

– საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული რაც ევროპამ მოგცა?

– საქართველოში საინფორმაციო გადაცემას წელიწადში ერთხელ თუ შევხედავდი. ევროპაში სწავლის დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმეჯერ თუ მექნება გამოტოვებული „კურიერისა“ თუ „მაესტროს ცხრიანის“ გამოშვებები. ეს ძალიან ბუნებრივი მოვლენაა. საერთაშორისო სივრცეში ადამიანს ყველაზე კარგად ეროვნება ახასიათებს, შესაბამისად, პირველ დღეებში ჩემს თავს პირდაპირ საქართველოსთან ვაიგივებდი. ახალგაზრდების შეკრების დროს, საუბარი იწყებოდა კითხვით, თუ რომელი ქვეყნიდან ვიყავი. ხშირად ჩემს პასუხს დაფიქრებული და გაკვირვებული სახეები მოყვებოდა, რადგან ჩვენი ქვეყნის ცნობადობა არც თუ ისე მაღალია, როგორც ეს ევროპაში წასვლამდე წარმომედგინა.

ევროპულ ოჯახში საქართველოს ადგილი ჯერჯერობით შორეულ პერსპექტივად მეჩვენება. ასევე არ ვეთანხმები მიდგომას, რომ ჩვენს ქვეყანაში გატარებული ცვლილებები ევროპელებად გვაქცევს. საქართველოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს არა ევროკავშრის წევრობა, არამედ განვითარება. სწორედ განვითარება მოიტანს იმ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც ქვეყანას ევროკავშირთან თავსებად სახელმწიფოდ აქცევს.

არსებობს ჩვენი ერის მიერ გაცხადებული ნება, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი. იმისათვის, რომ ეს მისწრაფება რეალობად იქცეს უნდა განისაზღვროს სამი რამ: რა არის საქართველო, რა არის ევროპა და რა ვალდებულებები და უფლებები ექნება საქართველოს ევროპასთან კავშირის შემთხვევაში. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, დასავლეთში საქართველოს განიხილავენ, როგორც ახალგაზრდა სახელმწიფოს. სამართლებრივი კუთხით რთულია ამ დებულების უგულებელყოფა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს ფასეულობებისა და მისწრაფებების ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ქართულ იდენტობას. აუცილებელია ჩვენი წარსულის მეცნიერული ანალიზი. უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის მომავალზე აკადემიურ, არგუმენტირებულ დებატებს (ურა პატრიოტიზმის გარეშე). იმისათვის რომ წარმოიშვას ჯანსაღი და სწორი ქართული იდეოლოგია, უნდა განისაზღვროს ვინ ვართ და რა გვინდა.

ევროპის შესახებ მოსახლეობის დიდ ნაწილს არასწორი წარმოდგენა აქვს. საზოგადოების ერთი ნაწილი დასავლეთში ვიწრო, სუფთა ქუჩებსა და „საყვარელ“ ტანსაცმლის ბუტიკებს ხედავს, ხოლო მეორე ნაწილი – ლეგალურ ნარკოტიკებსა და სექსუალურ აღვირახსნილობას. სინამდვილეში ევროპა ქრისტიანული ფასეულობებიდან აღმოცენებული კულტურაა. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა ძალიან საინტერესო და კომპლექსური გზა განვლო, რამაც განსაზღვრა ევროპული იდენტობა. განმანათლებლობა, აბსოლუტიზმი, ბურჟუაზიული რევოლუცია, კონსტიტუციონალიზმი, კოლონიალიზმი და ინდუსტრიული რევოლუცია არ არის სრული ჩამონათვალი იმ საფეხურებისა, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა თანამედროვე დასავლური მსოფლმხედველობა. საქართველოს მხოლოდ რამდენიმე სტადია შეეხო ამ მსოფლიო მოვლენებიდან, ისიც ზედაპირულ დონეზე. ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული იდენტობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპულისგან. ურთიერთობა ორმხრივია და არც ქართულ- ევროპული ურთიერთობებია გამონაკლისი. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ როგორც უფლებები, ასევე ვალდებულებები. დღესდღეობით საქართველოს ეკონომიკა არ არის მზად ზემოთ ხსენებული ვალდებულებების საკისრებლად. ამ ეტაპზე, საქართველოს ევროკავშირის წევრობა ევროპას დამატებითი ხარჯების და თავის ტკივილის მეტს არაფერს მოუტანს. საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა მძიმე ტვირთად შეიძლება დააწვეს განვითარებად ქვეყანას ისეთი ძლიერი ქვეყნების ლიგაში გაწევრიანება, როგორიც არის: გერმანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და ა.შ.

საქართველოს მთავარი მიზანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარებაა. ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება იქნება განვითარების ბოლო ეტაპი. ამ ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლებაზე, კანონის უზენაესობაზე, დემოკრატიულ ფასეულობებსა და ადამიანის უფლებებზე, რათა განვითარების გამოტოვებული საფეხურები ცოდნითა და წესრიგით შევავსოთ. ჩემი აზრით, ეს გზა ევროპამდე მიგვიყვანს.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

იურისტის კონსულტაცია

შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულის ინიციატივით შეწყვეტისას, მას დამსაქმებლის გაფრთხილების ვალდებულება ეკისრება?

დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვების შემთხვევაში, იგი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, გააფრთხილოს დამსაქმებელი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთება?

დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.

დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის შემდეგ, დამსაქმებელი რამდენი ხნის ვადაშია ვალდებული, დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი?

დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის დასაბუთების მოთხოვნის შემთხვევაში, დასაქმებულს რამდენი ხნის ვადაში შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა?

დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან დადგენილ ვადაში არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, რისი უფლება ექნება დასაქმებულს?

თუ დამსაქმებელი, დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში, სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში, დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.

სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, რა სახის ვალდებულება შეიძლება დაეკისროს დამსაქმებელს?

სასამართლოს მიერ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს კომპენსაცია, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა
და მეცნიერთა თავისუფალი
პროფკავშირის იურისტი

ინფორმაცია

საქართველოსა და გერმანიას შორის ახალი გაცვლითი პროგრამები ამოქმედდება

მიმდინარე წელს თბილისის №21 საჯარო სკოლასა და გერმანიის ჰომბურგის ზაარპფალცის გიმნაზიას შორის პარტნიორული ურთიერთობა დამყარდა, რომლის მიზანია მეგობრული თანამშრომლობა და მოსწავლეთა რეგულარული გაცვლითი პროექტების ხელშეწყობა. ეს თანამშრომლობა ევროპის გამთლიანების პროცესის ფარგლებში წარიმართება და ხელს შეუწყობს გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების ურთიერთობების გაღრმავებას, საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას.

თბილისის №21 საჯარო სკოლის წარმომადგენელთა ვიზიტი გერმანიაში 2014 წლის მარტში შედგა, სადაც გადაწყდა გაფორმებულიყო ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. გერმანიის მხარემ, რომელიც წარმოდგენილი იყო ჰომბურგის ზაარპფალცის გიმნაზიის დირექტორის, მერიის განათლების კურატორისა და განათლების სამინისტროს სახით, მემორანდუმს უკვე მოაწერა ხელი. ქართული მხარის მიერ მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალი თბილისის №21 საჯარო სკოლაში გაიმართა. დოკუმენტის ერთ-ერთი ხელმომწერია საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**.

ღონისძიებას დაესწრნენ: ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**, საკრებულოს განათლების კომიტეტის წევრები, გერმანიის ელჩის მოადგილე საქართველოში და სხვა საპატიო სტუმრები.

სპორტი

ქართული ხმლები ბურსაში

ქართული ფარიკაობა ნელ-ნელა გამოდის „საღათას ძილიდან“ და მიუყვება მწვერვალებისკენ მიმავალ ძნელ ბილიკს – ჯერ იყო **მიხეილ მარდალეიშვილის** მიერ ჭაბუკებში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, წლეულს – **სანდრო ბაზაძის** გამარჯვება ევროპის 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატში, იმავე შეჯიბრებაზე კი მისი ძმა **ბექა ბაზაძე** მესამეზე გავიდა. ახლახან ქართულმა ფარიკაობამ კიდევ ერთი სასიხარულო გამარჯვება მოიპოვა, რომელიც ისევ ბექა ბაზაძეს უკავშირდება – წინა კვირას მან გაიმარჯვა თურქულ ბურსაში გამართულ მოხმალავეთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე, ფინალში კი 15 წლის თანაგუნდელი **ნიკოლოზ ჭანტურია** დაამარცხა. ამდენად, ჩვენი გუნდის თურქული მონაგარი თითო ოქრო-ვერცხლია, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ სულ 3 სპორტსმენით ვიყავით წარმოდგენილი – მესამე მონაწილე მარდალეიშვილი იყო, რომელიც მეექვსე ადგილზე გავიდა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ, სტატუსის მიუხედავად, ეს არ იყო უძლიერესი შეჯიბრება – 10 ქვეყნის 31 მოფარიკავე გამოდიოდა, თუმცა არც ჩვენ ვართ კოჰორტაში. თანაც, ეს უფროსთა ტურნირი იყო, ჩვენები კი ჯერაც ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში გამოდიან. მით უფრო, რომ ბაზაძეს კარგა ხანია, წარმატება არ მოუპოვებია და ეს გამარჯვება ფსიქოლოგიურად ძალიან წაადგება. იმედია, ამით მან დასძლია ჩავარდნა.

ჩვენმა მედალოსნებმა ჯგუფში მხოლოდ თითო შეხვედრა წააგეს, ხოლო სანაცვლოდ ბაზაძემ 5 მოიგო, შენგელიამ – 4. პლეი ოფში, ფინალამდე, ბაზაძემ ორ მასპინძელს აჯობა, მეოთხედფინალში კი მარდალეიშვილი 15:7 დაამარცხა. ჭანტურიამ ორ თურქთან ერთად აზერბაიჯანელ მეტოქესაც აჯობა და ფინალში გავიდა, გადამწყვეტი ხმალთა რკენა კი უფრო გამოცდილი ბაზაძის სასარგებლოდ დასრულდა – 15:6. აქვე შეგახსენებთ, რომ ჭანტურია წლეულს გამართული მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მონაწილეა, სადაც უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები დაამარცხა და ურიგოდ არ გამოსულა, მეექვსე იყო.

ახალგაზრდული პოლიტიკა დამტკიცდა

17 ოქტომბერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდსა და გაეროს მოსახლეობის ფონდთან პარტნიორობით, დიდი ხანია, მუშაობს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე. შედეგად შეიქმნა „სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში დაამტკიცა ხელისუფლებამ. ამას წინ უსწრებდა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა ჯერ კიდევ შარშან, რომლის შემადგენლობაშიც, სპორტის სამინისტროს გარდა, კიდევ რამდენიმე სამინისტროს წარმომადგენლები შედიოდნენ. ამ ხნის განმავლობაში ისინი საფუძვლიანად ეცნობოდნენ პროექტს, რომელმაც გვარიანი ცვლილება განიცადა წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, საბოლოო ვარიანტი კი 17 ოქტომბერს სპორტის სამინისტროში დაამტკიცეს.

ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმა 2014-2020 წლებზეა გათვლილი და 4 ძირითადი მიმართულება აქვს: მონაწილეობა; განათლება, დასაქმება და მობილობა; ჯანმრთელობა; სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა. იგი მოიცავს 208 პროექტს, რომლებიც უახლოეს პერიოდში წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად. გეგმა, ასევე, მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის ამოცანების შესასრულებლად საჭირო კონკრეტულ პროგრამებს, მათ ბიუჯეტსა და პასუხისმგებელ უწყებებს, ეს ყველაფერი კი დროშია გაწერილი. პროგრამის აღსრულებაში სხვადასხვა სამინისტრო მონაწილეობს: სპორტის, განათლების, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ფინანსთა და სხვ.

იმედია, ეს პროგრამა რეალურად იმუშავებს და ქმედითად დაეხმარება ქართველ ახალგაზრდებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების, პრობლემების დაძლევაში, ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას მისცემს.

ხელბურთელი გოგონები ევროპას ორჯერ მეუტევენ

ქართულ ხელბურთში ნელ-ნელა ქალების დროც მოდის – 2002 წლის შემდეგ, პირველად, ჩვენი გოგონების ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშებს. თანაც, ამ მნიშვნელოვან ეტაპს თბილისი უმასპინძლებს. ეს ამბები ამ დღეებში დუბლინში გაირკვა, ხელბურთის ევროპული ფედერაციის კონგრესზე.

საევროპო ბატალიებში 17-წლამდელთა ნაკრები ჩაებმება, რომელშიც 1998-99 წლებში დაბადებული გოგონები გამოდიან. მოგეხსენებათ, მათ გაისად თბილისში გასამართავ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა ითამაშონ. თუმცა მანამ, 20-22 მარტს, ევროპის შესარჩევი ეტაპის თამაშებიც ელოდებათ. თბილისში ჩვენებურთა მეტოქეები ნორვეგია, ჰოლანდია და ლიტვა იქნება. სამივე ანგარიშგასაწევი და ძლიერი გუნდია, ნორვეგია კი სულაც ელიტის წარმომადგენელია. ამის მიუხედავად, ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენები წარმატებით გამოვლენ. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 13-23 აგვისტოს მაკედონიაში გაიმართება.

თუმცა როგორც უნდა დასრულდეს ტურნირი, მისი გამართვა მაინც დიდი სტიმული იქნება ქართული ხელბურთის გამოღვიძების გზაზე. ეს განსაკუთრებით გოგონებისთვისაა საშური, რადგან ბიჭებისგან განსხვავებით, აქ ბევრად უფრო რთული მდგომარეობაა – არ იყო საკმარისი კლუბები თუნდაც შიდა პირველობების ჩასატარებლად და ქალთა ხელბურთი იმ სახეობებს შორის იყო, რომლებზედაც კამათი მიდიოდა, ღირდა თუ არა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში გამოსვლა. საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა და გადაწყდა, სადაც არ გვყავდა გუნდები, სასწრაფოდ შეგვექმნა და ყველაფერი გაკეთებულიყო მათ ფეხზე დასაყენებლად, რათა გაისად, თბილისში, ევროპულ ფორუმზე წარმატებით გამოვიდეთ. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ქალთა კალათბურთსა თუ სხვა სახეობებთან ერთად ქალთა ხელბურთიც აღორძინდა. გაისად ქართველ ახალგაზრდებს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ მშობლიურ ქალაქში – ფესტივალი და ევროპირველობის შესარჩევი ციკლი. იმედია, ეს ფაქტი კიდევ უფრო გაზრდის სპორტის ამ სახეობის პოპულარობას და კიდევ უფრო მეტი გოგონა დაინტერესდება ხელბურთით. მით უფრო, დედაქალაქის თუ ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით, ხელბურთი უკვე შეტანილია ბევრ საჯარო სკოლაში, რომლებსაც საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ყოველმხრივ ეხმარება, შესაძლებლობების ფარგლებში – ბურთებით, ინვენტარით, ეკიპირებით, სასწავლო ლიტერატურით, მწვრთნელთა სემინარებითა და მათი გადამზადებით.

სეულში მოვოვებული მედლები

ახალგაზრდა და ჭაბუკი სამბისტები წარმატებით გამოვიდნენ სეულში დამთავრებულ მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატში – ორივე გუნდის საერთო მონაგარი 13 მედალია. აქედან 4 ოქროა, 6 – ვერცხლი და 3 – ბრინჯაო. სეულში განსაკუთრებული წარმატებით ჭაბუკები გამოვიდნენ, რომლებმაც რაოდენობრივადაც უკეთ იჭიდავეს და ხარისხობრივადაც – 7 მედალი დაისაკუთრეს, რომელთაგანაც 3-3 ოქრო-ვერცხლია. როგორც ვხედავთ, მათ 10 წონიდან 6-ის ფინალში იჭიდავეს, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ჩვენ მხოლოდ 8 წონაში გვყავდა მონაწილე, ორი წონა გამოვტოვეთ! ფაქტობრივად, ამ გუნდიდან მხოლოდ ერთი კაცი დარჩა უმედლოდ, მსოფლიოს ჩემპიონები **ირაკლი კუპატაძე** (52), **ჯამბულ ქურდიანი** (60) და **ივანე ჩურჩხელაშვილი** (75) გახდნენ, ვერცხლის მედლებს **გიორგი მეტრეველი** (65), **ირაკლი გოგია** (87) და **ჯაბა მუმლაძე** (+87) დასჯერდნენ, ხოლო **ირაკლი შონია** (48) მესამეზე გავიდა.

ახალგაზრდების 6 მედალი ხარისხობრივად ასეა განაწილებული: 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ამ გუნდიდან ყველაზე მეტი წარმატებით **თორნიკე ჭოველიძე** (68) გამოვიდა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ანალოგიური წარმატების მოპოვება შეეძლოთ **ლაშა პარასკევაშვილს** (62), **რევაზ წულუკიძეს** (100) და **გიორგი ლაზუაშვილს** (+100), რომლებიც ასევე გავიდნენ ფინალში, მაგრამ იქ დამარცხდნენ და ვერცხლს დასჯერდნენ. ბრინჯაოს მედლებს **მიხეილ მეზურნიშვილი** (82) და **ზაურ მამარდაშვილი** (90) დაეუფლნენ. გუნდურ ჩათვლაში ორივე ნაკრები მეორეზე გავიდა, მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ.

მედალოსანთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კუპატაძის გამოსვლა, რომელიც წლეულს ევროპის ჩემპიონიც გახდა. ის ერთადერთია ორივე გუნდიდან, ვინც წლეულს დუბლი შეასრულა.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

23 წიგნის თვრო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები
ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

ერთი ცალის

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- თეოდორ ფონტანე - **ეფი** ახალი
- **ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

გამოცდებზე

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK